# სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№ 1–2 (370–371) იანვარი–თებერვალი, 2024 წელი

835

„დიდი შრომის შედეგია, რომ დღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი არის ძლიერი, საუკეთესო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული აღმასვლისთვის;

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყოველი მომდევნო დღე წარმატებით უნდა აღიბეჭდოს მისი განვითარების ისტორიაში. ამისთვის, მე ყველაფერს გავაკეთებ “, – პროფესორი ირაკლი ნატროშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი.

გვ3



UNFPA

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის სახელით,

**მადლობის სიგელი**

გადაეცემა

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს**

გამორჩეული პარტნიორობისა და მოსახლეობისა და განვითარების სამოქმედო პროგრამის (ICPD PoA) პრიორიტეტების მისაღწევად შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

**ლელა ბაქრაძე**
გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA)
საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი

15 თებერვალი, 2024

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისმა 25-წლიანი საქმიანობის აღსანიშნავ შეხვედრას უმასპინძლა. ღონისძიებაზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, „გამორჩეული პარტნიორობისა და მოსახლეობისა და განვითარების სამოქმედო პროგრამის (ICPD PoA) პრიორიტეტების მისაღწევად შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“, მადლობის სიგელი მიიღო.

გვ2

## მადლობის სიგელი გაეროს მოსახლეობის ფონდიდან

2024 წლის 15 თებერვალს გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისმა 25-წლიანი საქმიანობის აღსანიშნავ შეხვედრას უმასპინძლა. საიუბილეო ღონისძიებაზე მადლობის სიგელები გადაეცათ UNFPA-ს პარტნიორ უწყებებსა და ორგანიზაციებს.

ღონისძიებაზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, „გამორჩეული პარტნიორობისა და მოსახლეობისა და განვითარების სამოქმედო პროგრამის (ICPD PoA) პრიორიტეტების მისაღწევად შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“, მადლობის სიგელი მიიღო, რომელიც გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ელა ბაქრაძემ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ირაკლი ნატროშვილს, გადასცა.

გარდა ამისა, საიუბილეო ღონისძიებაზე გაიმართა UNFPA-ის მეგობრების კლუბის პრეზენტაციაც, რომლის მიზანია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების რეალიზება სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების ჩართულობით.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ზაზა ბოხუა, Frends of UNFPA Georgia-ს კლუბის წევრი გახდა.

## სტაჟირებაზე ჰუმბოლდტის (გერმანია) საუნივერსიტეტო კლინიკაში

Erasmus+-ის პროგრამის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები შორენა ბაბუნაშვილი, თინათინ ბუხრაშვილი და ეკატერინე გაჩეჩილაძე სტაჟირების გასავლელად ჰუმბოლდტის (გერმანია) საუნივერსიტეტო კლინიკაში იმყოფებოდნენ.

2-თვიანი პრაქტიკული მუშაობის პროცესში სტუდენტები იყვნენ ნეფროლოგიის, ინტენსიური მედიცინის, გადაუდებელი მედიცინის, ზოგადი ქირურგიის და გასტროენტეროლოგიის განყოფილებებში.

– განსაკუთრებით მომეწონა ქირურგიის მიმართულება, სადაც ყოველდღიურად ექიმებს ოპერაციის დროს ასისტირებას ვუწევდი. ვისწავლე ის მანიპულაციები, რაც ქირურგიის დეპარტამენტის ყოველდღიურ საქმიანობას წარმოადგენს. მონაწილეობა მივიღე ოპერაციებში, რომელიც მხოლოდ ერთეული სახით გვხვდება მსოფლიოში და რომელსაც მხოლოდ ჰუმბოლდტის კლინიკა აკეთებს.

მომდევნო თვის განმავლობაში ვიყავი გასტროენტეროლოგიის განყოფილებაში, სადაც რადიკალურად განსხვავებული დღის რეჟიმი გვქონდა. აქ შეგვეძლო ყოველდღიურად მიგვეღო პაციენტები, ჩართულები ვიყავით მათ მკურნალობასა და მართვაში.

კვლავ მინდა დავბრუნდე გერმანიაში, ვისწავლო და დავაგროვო გამოცდილება, შემდეგ კი ჩემს ქვეყანას წარმატებული ექიმის სტატუსით დავუბრუნდე“, – ამბობს სტუდენტი შორენა ბაბუნაშვილი.

– „ვფიქრობ, ჰუმბოლდტის საუნივერსიტეტო კლინიკაში მიღებულმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ ძალიან გამზარდა, როგორც პიროვნულად, ისე პროფესიულად.

აქტიურად ვიყავი ჩართული პაციენტების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში. პირველი თვე გავატარე ნეფროლოგიისა და ინტენსიური მედიცინის განყოფილებაში. აქ შეხება მქონდა თირკმლის მწვავე და ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებთან, რომლებიც იყვნენ ჰემოდიალიზზე ან ჩატარებული ჰქონდათ თირკმლის ტრანსპლანტაცია. ჩემი მოვალეობა იყო ახალი პაციენტების აყვანა, ანამნეზის შეკრება, ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება, ისტორიის დაწერა და შემდგომ წარდგენა ექიმებისათვის ყოველდღიურ კონფერენციებსა თუ შემოვლებზე. საბოლოო ჯამში, ამ ერთმა თვემ ძალიან დიდი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება მომცა.

მეორე თვე გადაუდებელი მედიცინის განყოფილებაში გავატარე. პარალელურად ვეცნობოდი სამედიცინო ჟურნალებში დაბეჭდილ სტატიებს, მიმდინარე სამეცნიერო კვლევებსა და სიახლეებს“, – ამბობს სტუდენტი ეკატერინე გაჩეჩილაძე.

– „ბედნიერი ვარ, რომ ასეთი შესაძლებლობა მომეცა. პირველი თვე გერმანიის გულის ცენტრში გავიარე (Deutsches Herzzentrum der Charité). ვესწრებოდით რადიოლოგიურ კონფერენციას, შემდგომ, განყოფილების ხელმძღვანელ ექიმებთან და რეზიდენტებთან ერთად, ვიწყებდით ვიზიტებს, რა დროსაც განვიხილავდით პაციენტების ანამნეზს. დღის მეორე ნახევარი ეთმობოდა გამოკვლევებს, ყველაზე ხშირად ვესწრებოდი სონოგრაფიულ და ინტერვენციულ კარდიოლოგიურ გამოკვლევებს.

შემდეგი ეტაპი მიმღებსა და საოჯახო მედიცინის ამბულატორიაში გავიარე. გერმანიიდან მეტად თავდაჯერებული დავბრუნდი. ბევრი რამ ვისწავლე, მათ შორის თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

მინდა, რაც შეიძლება ბევრმა სტუდენტმა მიიღოს მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში. არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა, არა მხოლოდ ცოდნის მისაღებად, არამედ მოტივაციის ასამაღლებლადაც. ახლა, ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვარ, ყველას წარმატებებს გისურვებთ“, – აღნიშნავს სტუდენტი თინათინ ბუხრაშვილი.

## სტუდენტური კონფერენცია – სოციოლოგია ჯანდაცვაში

25 იანვარს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტში ჩატარდა ტრადიციული კონფერენცია – ,,სოციოლოგია ჯანდაცვაში“.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის პირველი სემესტრის სტუდენტებმა, რომლებმაც მოსახლეობის ჯანმრთელობის აქტუალურ საკითხებზე მოხსენებები წარადგინეს.

კონფერენციის ბოლოს სტუდენტებს გადაეცათ მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

## საჯარო სკოლის მოსწავლეები თსსუ-ში

26 თებერვალს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში თბილისის 159-ე და 124-ე საჯარო სკოლების მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეები იმყოფებოდნენ.

საინფორმაციო ტურის ფარგლებში, მოსწავლეებმა დაათვალიერეს სიცოცხლის მეცნიერებათა მუზეუმი, ადამიანის გენომის და ეპიგენომის ლაბორატორია, ასევე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრი, სადაც ისინი გაეცნენ სიმულატორებისა და მანეკენების ფუნქციებსა და მათ დანიშნულებას.

სკოლის მოსწავლეებს სიმულაციებზე დაფუძნებული სწავლების და ცენტრის ისტორიის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა თსსუ-ის კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის/დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ირმა მანჯავიძემ, ხოლო ტრენინგები ჩაუტარეს: ცენტრის უფროსმა სპეციალისტმა, ექიმმა პედიატრმა ნანა ჯიქიძემ და სპეციალისტმა – ჯემალ მაჭავარიანმა, რომლებმაც მოსწავლეებს აჩვენეს სხვადასხვა მანიპულაციის ჩატარების წესები (ბაზისური სასიცოცხლო ალგორითმი, გადაუდებელი დახმარების ჩატარება, ნახვევების დადება, უცხო სხეულის ამოგდების ტექნიკა).

გარდა ამისა, თსსუ-ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, ეკა კვარაცხელიამ, მოსწავლეებს ევროპის დნმ-ის დღისადმი მიძღვნილი ესეების და ვიდეოკონკურსის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია (www.dnaday.eu), რომელშიც მოსწავლეები საქართველოდანაც იღებენ ყოველწლიურად მონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ 159-ე და 124-ე საჯარო სკოლები ჩართულნი არიან USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის პროექტში – „ჩემი მომავალი პროფესია“, აქედან გამომდინარე, მათი ვიზიტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობას.

## ვიზიტი მონაკოში




29 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით, მონაკოში მსოფლიო ოლიმპიური კომიტეტის ორგანიზებით, გაიმართა კონფერენცია სპორტში დაზიანებების და დაავადებების პრევენციის საკითხებზე.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს თსსუ-ის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ელა მასხულიამ; დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ნინო ცხვედიანმა; ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა ზურაბ კახაბრიშვილმა და რექტორის აპარატის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა ირინა კაპეტივაძემ.

კონფერენციის მოდერატორულ სესიაზე პროფესორმა ელა მასხულიამ წარადგინა მოხსენება თემაზე – „არაფუნქციური გადაძაბვის და გადაწვრთნის ეფექტების მონიტორირება კარდიული ბიომარკერების პასუხის მეშვეობით მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებში: შედეგების გამოყენება გადაწვრთნის სინდრომის პრევენციისათვის“.

შედგა სამუშაო შეხვედრები კონგრესში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან. თსსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა, ზურაბ კახაბრიშვილმა, კოლეგებს პარიზის 2024 წლის ოლიმპიური თამაშების მომზადების პერიოდში, სპორტსმენთა ტრავმების პრევენციისა და მკურნალობისას მიღებული გამოცდილება გაუზიარა. ღონისძიების მიმდინარეობისას პროფესორმა ელა მასხულიამ და ასოცირებულმა პროფესორმა ზურაბ კახაბრიშვილმა გამართეს შეხვედრა მსოფლიო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებთან.

## უცხოური ენების ცენტრის რეაკრედიტაცია წარმატებით დასრულდა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრმა წარმატებით გაიარა საერთაშორისო სასერტიფიკატო პროგრამის ,,UNIcert®“ რეაკრედიტაცია, რის საფუძველზეც, თსსუ-ის უცხოური ენების ცენტრი, უფლებამოსილია გასცეს UNIcert®-ის სერტიფიკატი გერმანულ და ინგლისურ ენებში II (B2) და III (C1) დონეებზე - Fachsprache Medizin და English for Medical Purposes.

UNIcert®-ის სერტიფიკატის მფლობელს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში, მათ შორის, – Erasmus+-ის ფარგლებში და გაიაროს სტაჟირება ევროპის წამყვან კლინიკებში.

UNIcert®-ის სერტიფიკატი აღიარებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმაღლესი სასწავლებლების და DAAD-სა და AKS-ის ყველა წევრი ორგანიზაციის მიერ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრის მიერ მოპოვებული ახალი აკრედიტაცია 2027 წლის 30 სექტემბრამდე გაგრძელდება.

## საკონკურსო პროექტები

2024 წლის 5 თებერვალს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის – Horizon Europe საუნივერსიტეტო საგრანტო ოფისში გაიმართა შეხვედრა, სადაც თსსუ-ის Horizon Europe-ის საგრანტო ოფისის ხელმძღვანელმა, თამარ გვასალიამ, სამიზნე ჯგუფს 2024 წლის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა სოფიო ბახტაძემ, ხაზი გაუსვა თსსუ-ში მიმდინარე პროექტების ფარგლებში სამეცნიერო საქმიანობის და კვლევითი შესაძლებლობების კიდევ უფრო მეტად გაღრმავებას და მისი ეფექტიანად განხორციელების მნიშვნელობას.

შეხვედრაზე განიხილეს პროექტების კონცეფცია, განხორციელების ეტაპები, სირთულეები და მათი გადაჭრის გზები. კიდევ ერთხელ აღინიშნა ევროკავშირის საგრანტო კონკურსებში თსსუ-ის Horizon Europe-ის საგრანტო ოფისის ჩართულობის მნიშვნელობა. გარდა ამისა, მოისმინეს მედიცინის აკადემიური დოქტორის, ნიკოლოზ ვაჩაძის, წარმატების ისტორია, რომელმაც დეტალურად ისაუბრა მისი პროექტის განვითარების ეტაპების შესახებ.

## თსსუ-ის გ.ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში ფუნქციური მუცლის ტკივილის მართვის უახლესი მეთოდები განიხილეს

საქართველოში დაიწყო ფუნქციური მუცლის ტკივილის შესახებ ცნობიერების ამაღლების 3-თვიანი კამპანია, რომლის ინიციატორია ევროპის პედიატრიული გასტროენტეროლოგიის, ჰეპატოლოგიისა და კვების საზოგადოება (ESPGHAN), მხარდამჭერები არიან: საქართველოს ბავშვთა გასტროენტეროლოგთა საზოგადოება, საქართველოს პედიატრთა ასოციაცია და საქართველოს პედიატრთა აკადემია.

3-თვიანი კამპანიის მიზანია ბავშვებში ფუნქციური მუცლის ტკივილის შესახებ ინფორმაციის გავრცელება სამედიცინო საზოგადოებაში, პაციენტებთან და მათ მშობლებთან.

ღონისძიების ფარგლებში, 29 იანვარს, პირველად საქართველოში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში გაიმართა შეხვედრა, სადაც ESPGHAN-ის წარმომადგენელმა საქართველოში, პედიატრ-გასტროენტეროლოგმა, მარიამ ღუღუნიშვილმა, კამპანიის მნიშვნელობაზე ისაუბრა და მიმოიხილა ფუნქციური მუცლის ტკივილის მართვის უახლესი მეთოდები, რომელიც სკოლის ასაკის ბავშვების 30%-ს აწუხებს.

არსებული პრობლემიდან გამომდინარე, ESPGHAN განახორციელებს საინფორმაციო კამპანიას, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებას ფუნქციური მუცლის ტკივილის შესახებ. 3-თვიანი კამპანიის ფარგლებში განხორციელდება შეხვედრები პედიატრებთან, ოჯახის ექიმებთან, დაიგეგმება ვიზიტები სკოლებსა და მედიასაშუალებებში.

## ნიკოლოზ კახიანი – 140

დიდი ქართველი ქირურგის, საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების მესაძირკვლის, ჩვენში ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის დარგის ერთ-ერთ ფუძემდებლის, პროფესორ ნიკოლოზ კახიანის, დაბადებიდან 140 და გარდაცვალებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში თეოდორ ბილროთის სახელობის სტუდენტთა ქირურგიული ასოციაციის მიერ გამართული ხსოვნის ღონისძიება. პირველი ნაწილი – სტუდენტური კონფერენცია — საინტერესო ქირურგიული კლინიკური შემთხვევების აღწერას და პრეზენტაციებს მოიცავდა, რომლებიც შეფასდა თსსუ-ის აკადემიური პერსონალისა და მოხსენებათა თემატიკის შესაბამისი დარგის ექიმი სპეციალისტებით დაკომპლექტებული ჟიურის მიერ და დასახელდნენ საუკეთესო ნაშრომების ავტორები.

მეორე ნაწილი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გახლდათ, სადაც გაიხსენეს პროფესორ ნიკოლოზ კახიანის ცხოვრებისა და საქმიანობის მნიშვნელოვანი ეპიზოდები. ოდესის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ნიკოლოზ კახიანი, 1919 წელს ახალგახსნილი თბილისის უნივერსიტეტის ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის გამგედ მოიწვიეს და სიცოცხლის ბოლომდე განაგებდა სამკურნალო ფაკულტეტის ქირურგიული პათოლოგიის კათედრასა და პროპედევტიკის კლინიკას. მან ქირურგიულ პრაქტიკაში დანერგა არაერთი ინოვაციური ოპერაცია: ტვინის დანამატის ამოკვეთის, თირკმლისა და თირკმელზედა ჯირკვლის რეზექციის, თავის ქალას ტრეპანაციის და ა.შ. ურთულესი ოპერაციები. პროფესორ ნიკოლოზ კახიანის ზრუნვის საგანს, ასევე, წარმოადგენდა ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის შექმნა და სრულყოფა.

პროფესორი ნიკოლოზ კახიანი გაიხსენეს თსსუ-ის პროფესორებმა: გიორგი ასათიანმა, ზურაბ კაკაბაძემ და რამაზ შენგელიამ; ასევე სხვა მოწვეულმა სტუმრებმა.

გამომსვლელებმა, მათ შორის, ბატონი ნიკოლოზ კახიანის შვილიშვილმა, ქალბატონმა ჯინა კახიანმა, მადლობა მოახსენა საზოგადოებას, პროფესორი ნიკოლოზ კახიანის ღვაწლის არდავიწყებისთვის.

# პროფესორი ირაკლი ნატროშვილი: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორობა ძალიან საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი საქმეა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ახალი რექტორი, პროფესორი ირაკლი ნატროშვილი, ჰყავს, რომელიც 2024 წლის თებერვლიდან შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. ბატონი ირაკლი კარგად არის ცნობილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის, რადგან მანამდე იგი კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი გახლდათ, სადაც განთავსებულია თსსუ-ის სარეაბილიტაციო მიმართულების ყველა სტრუქტურული ერთეული და სარეაბილიტაციო კლინიკური ბაზა. ამდენად, პროფესორ ირაკლი ნატროშვილს მჭიდრო კავშირი ჰქონდა სტუდენტებთან, პროფესურასთან და დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობს მათში.

ბატონი ირაკლი პროფესიით ექიმია - ბავშვთა ნევროლოგი, მედიცინის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი. 2003 წლიდან 2019 წლამდე ხელმძღვანელობდა სამედიცინო რეაბილიტაციის კურსს დ. ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტში, 1996-2019 წლებში – ნეირორეაბილიტაციის დეპარტამენტს და მართავდა ბავშვთა აბილიტაციის/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამას ნეიროგანვითარების ცენტრში, ხოლო 2019 წლიდან – რეაბილიტაციის მიმართულებას თსსუ-ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში. აქვს 25-წლიანი კლინიკური პრაქტიკა ბავშვთა ნევროლოგიასა და ნეირორეაბილიტაციაში. დიდი გამოცდილება და ცოდნა აქვს ბავშვთა ნევროლოგიური შეფასების, განვითარების შეფერხებით მიმდინარე მდგომარეობის, ნერვკუნთოვანი დაავადებების, ცერებრული დამბლის, სპასტიურობის მართვის ორთოპედიული კორექციისა და ბოტულინოთერაპიის მიმართულებებით. არის რამდენიმე პროფესიული ასოციაციისა და გაერთიანების წევრი.

მიუხედავად დატვირთული რეჟიმისა, თსსუ-ის „სამედიცინო გაზეთს“ ბატონმა ირაკლიმ მაინც დაუთმო დრო და ჩვენ კიდევ ერთხელ გავხდით მისი სისადავისა და კაცთმოყვარეობის, უშუალობისა და გულწრფელობის მოწმენი.

**– ადამიანის უძვირფასესი საუნჯე მისი ვინაობაა, – ამბობს ილია ჭავჭავაძე, ცხადია, ადამიანი არის ის, რაც გამოიარა, განიცადა, ისწავლა, გააკეთა. ბატონო ირაკლი, ვინმე უცნობმა რომ ასეთი კითხვები დაგისვათ, რა არის თქვენი უძვირფასესი საუნჯე და ვინ ბრძანდებით თქვენო, როგორ პასუხს გასცემდით?**

– საკმაოდ რთული შეკითხვაა. საკუთარ თავზე საუბარიც ძალიან ძნელია...

თქვენ საუნჯე ახსენეთ... ბავშვობიდან მოყოლებული, ერთი ამბავი გახდა ჩემთვის საუნჯეცა და ჩემზე დიდი ზეგავლენის მომხდენიც. ბებიაჩემის მამა, გიორგი გელაშვილი, სწავლობდა პეტერბურგში, მასთან ერთად ბევრი ქართველი იყო, მაგრამ ძალიან მეგობრობდა ძმებთან. დაიწყო რუსეთ-ფინეთის ომი. ფინელები შეიჭრნენ რუსეთის ტერიტორიაზე, რუსეთის რეგულარული არმია კი ვერ ასწრებდა შემოსვლას. გამოაცხადეს მობილიზაცია სტუდენტებში. თუმცა ამის შესახებ თავად სტუდენტებისთვის არაფერი უთქვამთ. ჩაამწკრივეს ისინი ერთ რიგად და პირველი-მეორეზე გათვლა სთხოვეს. ბაბუაჩემი ძმების შუაში მოხვდა. მას მერე, რაც გაითვალეს, ყველა პირველ ნომერს მოსთხოვეს წინ გამოსვლა და ამცნეს, თქვენ, რუსეთ-ფინეთის ომში ხართ გაწვეულიო. ისე მოხდა, ორივე ძმა ომში გაიწვიეს, ბაბუას ძალიან განუცდია, როცა გაუაზრებია, რომ შეიძლებოდა, ორივე ძმა დაღუპულიყო და ერთ-ერთისთვის ადგილი გაუცვლია, რადგან ოჯახიდან ერთი მებრძოლის წასვლაც საკმარისი იყო... ვერც ბაბუა და ვერც მისი მეგობარი ომიდან ცოცხალი ვერ დაბრუნდნენ. ეს ამბავი ჩემთვის კაცთმოყვარეობის მაგალითიცაა და მეგობრობისაც, კეთილშობილებისაც და თავგანწირვისაც... ბებიას მამა მამაცობისთვის ვერცხლის ჯვრით დააჯილდოვეს. ეს ამბავი „С.-Петербургскія Вѣдомости“-ში დაიწერა, ადგილის გაცვლის შესახებ კი ოჯახს გადარჩენილმა ძმამ უამბო. ამ ამბავს ბებია ხშირად მიამბობდა და ბავშვობიდან მოყოლებული, გათავისებული მქონდა, რომ თავგანწირვა არის ყველაზე დიდი ღირებულება. დღესაც ასე ვფიქრობ, რომ თავგანწირვა მეგობრისთვის, მოყვასისთვის, პაციენტისთვის, საქმისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის. ეს გახლავთ ჩემი საუნჯე...

აი, მე ვინ ვარ, ამაზე უფრო გამიჭირდება საუბარი. მირჩევნია, დამოუკიდებლად შეიქმნან აზრი, ვინ ვარ.

**– ძალიან ხშირად, როცა ასეთ თემებზე საუბრობენ, აღნიშნავენ ხოლმე თაობებს შორის სხვაობასაც... თითქოს ბევრი რამ დაიკარგა...**

– ამაზე მეც მსმენია, რომ მსგავსი რამ უთქვამთ. თუმცა, ყველა თაობას თავისი ღირსება აქვს, ყველა თაობა თავის სირთულეებს უმკლავდება და თავის ჯვარს იტვირთავს... არასდროს ვეტყვი ჩვენი შვილების თაობას, რომ ისინი არ არიან ისეთი კარგები, როგორიც უფროსი თაობა იყო. არც ვეტყვი და არც ვიფიქრებ! მათაც ბევრი სიმძიმე გადაიტანეს... ისინიც ძალიან კარგები არიან! მათ არ აქვთ ნაკლებად მძიმე ტვირთი: უნდა განვითარდეს ქვეყანა, ევროპისკენ წავიდეს!

ამასთანავე, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ყველა თაობის ადამიანს თავისი დროის, თავისი ახალგაზრდობის ნოსტალგია ჰქონდეს.

**– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, - რა მოგონებებს აერთიანებს თქვენთვის ეს სიტყვები? თუ გახსოვთ საერთოდ, პირველი დღე, როცა აქ მოხვდით?**

– ძალიან კარგად მახსოვს მისაღები გამოცდები, მაშინ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი ერქვა და გამოცდებიც იქვე ტარდებოდა. გამოცდის შემდეგ მიკროფონში კითხულობდნენ გვარებს და აცხადებდნენ ნიშნებს. ხალხი იდგა სამედიცინო ქალაქის ეზოში და უსმენდა. რაც შეიძლება ახლოს უნდა დამდგარიყავი დინამიკთან, რომ გაგეგონა, თორემ იმდენი ხალხი იყო, შეიძლებოდა ვერც მოგესმინა. ძალიან კარგად მახსოვს ის მოლოდინი და განცდები ნიშნების გამოცხადებამდე.

ცხადია, დაუვიწყარი იყო ინსტიტუტში მოსვლის პირველი დღე. ძალიან დიდი სიამაყით მოვედი ამ ეზოში და ავედი აუდიტორიაში.

**– და პირველი ლექცია მოისმინეთ... რა ლექცია იყო, გეხსომებათ...**

– ანატომიის კათედრაზე, ასმათ შუკაკიძე იყო ის პედაგოგი, რომელსაც პირველად შევხვდი ლექციაზე.

**– თუ აღმოჩნდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (მაშინ ინსტიტუტი) ის სასწავლო დაწესებულება, სადაც ნამდვილად გინდოდათ სწავლა? მოლოდინი გამართლდა?**

– ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გეტყვით, რომ დიახ – ნამდვილად გამიმართლდა მოლოდინი. ექიმობა იმდენად დიდხანს მინდოდა, რომ მართლაც ბედნიერი ვიყავი ცხოვრების ყველა ეტაპზე: სტუდენტობისას, მერე ექიმად მუშაობისას, – ვთვლიდი, რომ ეს იყო ძალიან სწორი და კარგი გადაწყვეტილება.

**– და რაც შეეხება ექიმის სტრესულ ცხოვრებას, რამდენად მძიმეა ის? მსოფლიოში არსებობს კვლევებიც, სადაც ექიმის პროფესიას დღეგრძელობასთან შეუთავსებლად თვლიან სტრესის ინტენსივობის გამო...**

– სტრესი ცხოვრების ნაწილია. არ არსებობს არცერთი ადამიანი, რომ სტრესის გარეშე შეძლოს ცხოვრება. სტრესს უწოდებენ „ფარულ მკვლელს“, მაგრამ სტრესი არ არის პრობლემა, პრობლემაა მასთან გამკლავება. თუ ადამიანს შეუძლია ფსიქიკის დაუზიანებლად სტრესიდან გამოსვლა, მერწმუნეთ, რომ დღეგრძელიც იქნება და ჯანმრთელიც.

გეთანხმებით, ექიმებს სტრესული ცხოვრება აქვთ, მაგრამ მაგალითისთვის დავასახელებ ცნობილ ქირურგს, ლეო ბოკერიას, დღეგრძელიც არის და უზადო კარდიოქირურგიც. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს. ვფიქრობ, შემიძლია სტრესის დაძლევა.

**– მრავალფეროვანი სამყარო და ადამიანები განსხვავებული შესაძლებლობებით თქვენი სამსახურის განუყოფელი ნაწილია. რა შეიძლება გვითხრათ განსაკუთრებული შესაძლებლობების ადამიანებზე? მათი როლი სამყაროში და ჩვენი როლი მათი ცხოვრების გასაუმჯობესებლად...**

– მთელი ცხოვრებაა ვემსახურები ბავშვთა ნევროლოგიას, რომელიც ძალიან რთული დარგია. მით უფრო რთულია, რომ ხშირად ურთიერთობა გვიხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან. მართალია, ახლა იმდენ დროს ვეღარ ვუთმობ სამედიცინო პრაქტიკას, როგორც ადრე, რადგან ჯერ კლინიკის ხელმძღვანელი ვიყავი, ახლა თსსუ-ის რექტორი გავხდი, მაგრამ მაინც ვახერხებ პრაქტიკულ მუშაობასაც. მიხარია, რომ ჩემს პაციენტებს ვუყვარვარ და მეც ძალიან მიყვარს ისინი. ვაკეთებ ყველაფერს, რომ მათი ცხოვრება უკეთესი გახდეს.

ჩვენ ადამიანები ისეთებად უნდა მივიღოთ, როგორებიც არიან.

ჩემი უფროსი ვაჟი სკოლაში რომ წავიდა, ერთ დღეს მეგობრები ეწვივნენ: პატარები იყვნენ, 6-7 წლისანი. მსჯელობდნენ კლასელებზე და ყურში მომხვდა, რომ ერთ-ერთზე იცინოდნენ. ოთახში შევედი და საუბარი დავუწყე. გამოვიკითხე ყველაფერი. როგორც აღმოჩნდა, ბავშვი, რომელზეც საუბრობდნენ, შეზღუდული შესაძლებლობისა იყო, სიარულის პრობლემა ჰქონდა. იმ დღეს დიდხანს ველაპარაკე ბიჭებს. ავუხსენი ყველაფერი. მას მერე ვაკვირდებოდი და ვნახე, რომ შედეგი მივიღე, ძალიან მეგობრული კლასი დადგა, ის ბავშვიც დაიმეგობრეს, არაჩვეულებრივი ბუნებისა აღმოჩნდა. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი კლასელებს. სწორი მართვით, მჯერა, შესაძლებელია ნორმალური, სიყვარულით სავსე გარემოს შექმნა ნებისმიერი ადამიანისთვის, რაც არ უნდა განსხვავებული იყოს მისი ფიზიკური თუ მენტალური მონაცემები. ამიტომაცაა საჭირო, რომ ამაზე ვესაუბროთ ბავშვებს, ახალგაზრდებს... თუმცა, მჯერა, რომ ამ მიმართულებით ინფორმაციის უქონლობას დღეს არავინ განიცდის.

მე რომ მუშაობას ვიწყებდი, სულ სხვა სიტუაცია იყო, მაშინ მართლაც საჭირო გახლდათ ინფორმაციის მიწოდება, შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ ძალიან დაბალი ცნობადობის გამო. საზოგადოება არაკეთილგანწყობილი იყო განსხვავებული შესაძლებლობების ადამიანების მიმართ. ვფიქრობ, მეც შევიტანე გარკვეული წვლილი, რომ ეს განწყობა შეცვლილიყო.

არადა, ფაქტია: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან ურთიერთობის ხარისხი პირდაპირ ასახავს საზოგადოების განვითარების საფეხურს...

**– თვლით, რომ შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებზე ზრუნვა მნიშვნელოვანი იყო თქვენი პიროვნული ზრდისთვისაც?**

– დიახ, ასე იყო. ცხადია, არ შემიძლია, შევადარო, როგორი ვიქნებოდი ამ ეპიზოდის გარეშე, მაგრამ, ალბათ, მაინც დიდი მნიშვნელობა იქონია სულიერი სრულყოფის გზაზე... ამ ურთიერთობებმა და ჩემმა პროფესიამ განსაზღვრა ის, რაც ვარ და როგორიც ვარ...

**– საინტერესოა თქვენი ცხოვრება პროფესიული საქმიანობის მიღმა.**

– ძალიან მიყვარს მხატვრული ლიტერატურა, ყოველთვის სიამოვნებით ვკითხულობდი, ახლა, დროის სიმცირის გამო, მხატვრული ლიტერატურის კითხვით განებივრებული აღარ ვარ, მაგრამ მცირე დროც რომ გამომიჩნდეს საამისოდ, ძალიან მიხარია.

ძალიან მიყვარს სპორტი, ბევრი სახეობა მომისინჯავს სამოყვარულო დონეზე. გარკვეული დრო კრივით ვიყავი დაკავებული, შემდეგ – ველოსპორტით. თქვენ წარმოიდგინეთ, ყინულის ჰოკეისაც ვთამაშობდი.

დღესაც ძალიან მომწონს თხილამურებით და ყინულზე სრიალი, ჩოგბურთი (შვილებთან ვთამაშობ ხოლმე) და მაგიდის ჩოგბურთი (მეგობრებთან ერთად ვთამაშობ).

მიყვარს სირბილი, ეს კარგი საშუალებაა საკუთარ თავთან დარჩე და იფიქრო.

**– მახსოვს, თენგიზ არჩვაძე ამბობდა, როცა ძალიან ცუდად ვიყავი, უძოზე ავდიოდი ხოლმე, ხშირად ღამით მივლია და გათენებისას ავსულვარ უძოზე, ის გზა ჩემთვის ყველაფერი იყო, რადგან შემეძლო ჩემს თავთან დავრჩენილიყავი და მეფიქრაო...**

– მესმის მისი, განმიცდია კიდეც. უძოზეც ბევრჯერ ავსულვარ და ქოროლლზეც...

უფრო ხშირად ლისზე დავდივარ და ვფიქრობ.

**– განმარტოება გყვარებიათ... გამოდის, რომ გიყვართ ლიტერატურა და მარტოობა?**

– ვერ ვიტყოდი, რაღაცნაირად ვაზავებ ამ ორ მხარეს: ფიქრს მარტოობაში და ცხოვრებას მეგობრებთან ერთად. ორივე ძალიან დიდი ღირებულებაა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეგობრებს უპირატესობას ვანიჭებ. მათთვის ბევრი რამ შემიძლია, დავთმო...

**– ცხადია, ყველა ლიდერის მთავარი მიზანი გამარჯვებისკენ სვლაა და გამარჯვების წადილი. თქვენთვის ეს უცხო არ არის. რას ჩათვლით თქვენთვის მნიშვნელოვან გამარჯვებად, რასაც უპირატეს მნიშვნელობას მიანიჭებდით სხვა წარმატებულ საქმეთა შორის...**

– დღევანდელი გადასახედიდან ეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორობაა – ძალიან საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი საქმე. ეს არის კარიერული ზრდის მწვერვალი, თანაც შემიძლია, ექიმობა, როგორც პროფესია, შევითავსო და, პარალელურად, მომავალი ექიმების სწორი ჩამოყალიბებისთვის გავაკეთო ყველაფერი.

**– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხვალინდელი დღე როგორ წარმოგიდგენიათ?**

– ვფიქრობ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყოველი მომდევნო დღე წარმატებით უნდა აღიბეჭდოს მისი განვითარების ისტორიაში. ამისთვის, მე ყველაფერს გავაკეთებ.

ძალიან ბევრია გაკეთებული, დღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი არის ძალიან ძლიერი, საუკეთესო დასაწყისი პროფესიული აღმასვლისთვის; განვითარების დიდი საშუალებაა და, ვფიქრობ, ამ შანსის არგამოყენება არაფრით შეიძლება.

ჩემი სანუკვარი მიზანია, რომ საქართველოს ჯანდაცვის სისტემა იყოს ისეთივე სტანდარტებისა და ღირებულებების, როგორც ეს ევროპის განვითარებულ ქვეყნებსა და აშშ-შია.

საქართველოში და უცხოეთში მომუშავე ცნობილი ქართველი ექიმების ძალიან დიდი უმრავლესობა ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, მჯერა, მომავალშიც ასე იქნება. ჩვენი მისიაა, მოვამზადოთ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები: ექიმები, სტომატოლოგები, ფარმაცევტები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტები, რეაბილიტოლოგები, ექთნები. მინდა, ისინი სერიოზულ კონკურენციას უწევდნენ ყველა განვითარებული ქვეყნის სპეციალისტებს.

მზად ვარ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის არაჩვეულებრივ თანამშრომლებთან ერთად, არაფერი დავიშურო ამ მიზნის მისაღწევად. ამ საქმეში, ცხადია, მეიმედება ყველა თქვენგანი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, თსსუ-ის მეგობრები...

**ესაუბრა ლელა მუკგანიანი**

# თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის თეთრი ხალათების ცერემონია

17 იანვარს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის პირველსემესტრელი სტუდენტებისთვის ტრადიციული საზეიმო ღონისძიება – „თეთრი ხალათების ცერემონია“ – გაიმართა.

ღონისძიებას უძღვებოდა ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი, ფიზიკური რეაბილიტაციის პოლიტიკისა და სტრატეგიული მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი არჩილ უნდილაშვილი.

აუდიტორიას სიტყვით მიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ. მან პირველსემესტრელებს წარმატებები უსურვა, ასევე, პარტნიორობისთვის მადლობა გადაუხადა აშშ-ის მთავრობას, აშშ-ის საელჩოს საქართველოში, ემორის უნივერსიტეტის პროფესორებს, აშშ-ის ვოლტერ რიდის არმიის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს წარმომადგენლობას, რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევით ცენტრს.

აუდიტორიას, ასევე, მიესალმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახლად არჩეული რექტორი, პროფესორი ირაკლი ნატროშვილი. მან ისაუბრა თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის პერსპექტივასა და იმ ავტორიტეტზე,

რომლის მოპოვებაც ამ პროგრამამ საკმაოდ მოკლე დროში მოახერხა.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის პირველსემესტრელ სტუდენტებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს: ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის სამედიცინო განათლებისა და სტუდენტურ საქმეთა დეკანის მოადგილემ, მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის პროფესორმა გორდონ ჩერჩვორდმა; ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ჰემატოლოგიისა და სამედიცინო ონკოლოგიის პროფესორმა მერი ჯო ლეკოვიჩმა; ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ქირურგიის დეპარტამენტის ქირურგიული ონკოლოგიის ასოცირებულმა პროფესორმა მაიკლ სი ლოუმ; აშშ-ის ვოლტერ რიდის არმიის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორმა, პოლკოვნიკმა მეთიუ შერერმა. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ეკა ეკალაძემ; პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა და მეთერთმეტესემესტრელმა წარმატებულმა სტუდენტმა, ლევან ალავიძემ.

ღონისძიებას, ესწრებოდნენ: აშშ-ის ვოლტერ რიდის არმიის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს წარმომადგენლობის მენეჯერი, ბატონი არჩილ გაგნიძე, კრისტუს სენტ ვინსენტის რეგიონალური საავადმყოფოს სერტიფიცირებული ექიმი, მედიცინის დოქტორი რაისა ჩიორნი; ასევე, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის პირველსემესტრელ სტუდენტთა მშობლები, თსსუ-ის აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში განსაკუთრებული ძალისხმევისთვის, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის განვითარებაში ფასდაუდებელი წვლილისთვის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, პოლკოვნიკ მეთიუ შერერს მიენიჭა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

პროგრამის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის საპატიო პრიზით დაჯილდოვდნენ მოდულის – „კაცობრიობის შემოქმედებითობა“ – მასწავლებლები: ნანა ხეცურიანი, ლაშა ქურდაშვილი, ია ხუციშვილი, ანა მგალობლიშვილი. ასევე, სასწავლო კურსის – „გახდი ექიმი“ – პირველი სემესტრის მასწავლებლები: გვანცა ვარდოსანიძე, ელენე აზმაიფარაშვილი, ნინო თორია, მარიამ ღუღუნიშვილი, ნინო ყურაშვილი, სალომე ვორონოვი და თამთა თოლორდავა.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიების განსაკუთრებული ნაწილი დაეთმო პირველსემესტრელთა თეთრი ხალათებით შემოსვას. აღნიშნულმა ცერემონიამ საზეიმო ვითარებაში ჩაიარა.

ცნობისთვის, 2023-2024 სასწავლო წელს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე მე-11 მიღების 56 სტუდენტი ჩაირიცხა.

შეგახსენებთ, რომ დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე ემორის უნივერსიტეტის (ატლანტა, აშშ) ხელშეწყობით, 2013 წლიდან ფუნქციობს; სასწავლო პროგრამა კი ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კურიკულუმზეა დაფუძნებული.

# აშშ-ის ვოლტერ რიდის არმიის კვლევითი ინსტიტუტის დელეგაცია თსსუ-ში

აშშ-ის ვოლტერ რიდის არმიის კვლევითი ინსტიტუტის (WRAIR) დელეგაცია, პოლკოვნიკ ელი ლოზანოს ხელმძღვანელობით, ემორის უნივერსიტეტის (ატლანტა, აშშ) პარტნიორობის პროგრამაში ჩართულ ორგანიზაციებს სტუმრობდა. ვიზიტის მიზანი იყო ჩვენს ქვეყანაში კვლევისა და განათლების სფეროებში თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა და გაძლიერება.

დელეგაციას მასპინძლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური რეაბილიტაციის პოლიტიკისა და სტრატეგიული მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის კონსულტანტი, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი, პროფესორი არჩილ უნდილაშვილი. ვიზიტის ფარგლებში სტუმრები ეწვივნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ადმინისტრაციას, კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკას და თსსუ-ის ბავშვთა ადრეული განვითარების აკადემიას.

თსსუ-ის ახლად არჩეულმა რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა, ვოლტერ რიდის არმიის კვლევითი ინსტიტუტის დელეგაციას კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის ინფრასტრუქტურა დაათვალიერებინა და მიმდინარე თერაპიულ სერვისებთან ერთად, კლინიკის დამხმარე საშუალებების ლაბორატორიების მუშაობის პროცესიც გააცნო. დელეგაციის წევრებმა, აგრეთვე, დაათვალიერეს თსსუ-ის ბავშვთა ადრეული განვითარების აკადემია.

კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში ვიზიტის დროს, პროფესორი არჩილ უნდილაშვილი საპატიო სტუმრებს ესაუბრა მორი-საქართველოს 30-წლიანი პარტნიორობის შესახებ და ხაზი გაუსვა ამ თანამშრომლობის მნიშვნელოვან წვლილს ქვეყნის ჯანდაცვისა და სამედიცინო განათლების სფეროების განვითარების მიმართულებით.

ვოლტერ რიდის არმიის კვლევითი ინსტიტუტის დელეგაცია, იმავე დღეს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია. სტუმრებს თსსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, შეხვდა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად, მათ დაათვალიერეს თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის აკადემიური გარემო და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის – OSCE-ს მიმდინარეობის პროცესს დააკვირდნენ. ვიზიტორებს თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა, ეკა ეკალაძემ, დაწვრილებით გააცნო პროგრამის სპეციფიკა, მიღწეული შედეგები და განვითარების სამომავლო გეგმები.

ვოლტერ რიდის არმიის კვლევით ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის, თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ფარგლებში, თანამშრომლობა ჯერ კიდევ 2016 წელს დაიწყო. თანამშრომლობის ფარგლებში, სტუდენტებს ეძლევათ საშუალება, რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევით ცენტრში გაეცნონ ლაბორატორიული მუშაობის სპეციფიკას და აქტიური მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიულ კვლევებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ვოლტერ რიდის არმიის კვლევითი ინსტიტუტის დელეგაციის ვიზიტი თსსუ-ის სიმღერისა და ცეკვის სახალხო, დამსახურებული ანსამბლის კონცერტით დასრულდა.

გვერდი მოამზადა თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორის მოადგილემ, **ნინი ზარდიაშვილმა**

## შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულთა საზეიმო ღონისძიება

22 თებერვალს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტებისა და საექთნო საქმისა და სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტთა გამოსაშვები ღონისძიება გაიმართა.

2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში თსსუ-ის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები 320-მა სტუდენტმა დაასრულა.

ღონისძიებაზე სტუდენტებს სწავლის დასრულება მიულოცა და სიტყვით მიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა.

,,ძვირფასო კურსდამთავრებულებო, დღევანდელი დღე ძალიან მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავია თქვენს ცხოვრებაში. თქვენ დაეუფლეთ და შეუერთდით მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური პროფესიების წარმომადგენელთა რიგებს.

ყოველთვის ეცადეთ, გაიღრმავოთ ცოდნა და პროფესიული უნარები და არასოდეს გაჩერდეთ მიღწეულ შედეგზე. არ მოგერიდოთ, ჰკითხოთ და მოუსმინოთ კოლეგებს; მინდა გახსოვდეთ, რომ აბსოლუტურად ერთნაირი შემთხვევები არ არსებობს და, მიუხედავად მათი დიაგნოსტიკური იდენტურობისა, მიმდინარეობა ყველა ორგანიზმში ძალიან თავისებურია. ამიტომ გთხოვთ, ყოველთვის, თუნდაც ერთი შეხედვით რუტინულ შემთხვევასაც, მიუდგეთ მაქსიმალური გულისყურით და პაციენტისადმი გულისხმიერებით," – განაცხადა თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა.

ღონისძიებაზე სტუდენტებს, ასევე, სიტყვით მიმართეს და შემდგომ პროფესიულ სარბიელზე გზა დაულოცეს: მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა რუსუდან რუხაძემ; სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ნანა ყიფიანმა; ფარმაციის ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ

ჩიკვილაძემ; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ციმაკურიძემ; ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ლელა მასხულიამ; საექთნო საქმისა და სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამების კოორდინატორმა, ასისტენტ-პროფესორმა, მედეა ჯღარკავამ.

ფაკულტეტის დეკანებმა ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტები, სიმბოლურად, მანტიებით შემოსეს.

ღონისძიების კულმინაციას წარმოადგენდა ფიცის დადების ცერემონიალი, რომელიც სტუდენტებმა ერთხმად წარმოთქვეს.

გამოსაშვებ საღამოს უძღვებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი გიორგი ჭიჭინაძე, ხოლო ორგანიზატორი იყო თსსუ-ის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების სამსახური.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ულოცავს ყველა კურსდამთავრებულს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს წარმატებებს პროფესიული განვითარების გზაზე!

## მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის სტუდენტთა გამოსაშვები ღონისძიება

მიმდინარე წლის 13 თებერვალს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის უცხოურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა გამოსაშვები ღონისძიება გაიმართა.

2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები 17 ქვეყნის 131-მა სტუდენტმა დაასრულა.

კურსდამთავრებულებს სწავლის დამთავრება და ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლა მიულოცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა.

„ძვირფასო კურსდამთავრებულებო, ეს დღე ახალი ნაბიჯია თქვენს ცხოვრებაში, პროფესიულ კარიერაში. თქვენ უკვე შეუერთდით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა უწყვეტ ჯაჭვს, განსაკუთრებულად ნიჭიერ და გავლენიან საზოგადოებას, რომელსაც აქვს მაღალი რეპუტაცია.

ვულოცავ თქვენს ოჯახებსა და მეგობრებს, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, რომელთა სწორმა მიდგომებმა ხელი შეუწყო იმ ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბებას, რომელიც თქვენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მოიპოვეთ, წარმატებებს გისურვებთ", – განაცხადა თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა.

მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა დავით თოფურიამ, კურსდამთავრებულებს პროფესიულ საქმიანობაში წარმატებები უსურვა; აღნიშნა, რომ თსსუ-ის აკადემიური პერსონალი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ სტუდენტებისთვის მაქსიმუმი მიეცა.

აღსანიშნავია, რომ თსსუ-ში, ღონისძიებაზე იმყოფებოდნენ კურსდამთავრებულთა ოჯახის წევრები და მეგობრები, რომლებიც სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოვიდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

ტრადიციულად, ღონისძიების დასასრულს, კურსდამთავრებულებმა საზეიმოდ დადეს ჰიპოკრატეს ფიცი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ულოცავს ყველა კურსდამთავრებულს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს წარმატებებს პროფესიული განვითარების გზაზე!



## უმაღლესი აკადემიური წოდება, როგორც მნიშვნელოვანი აღიარება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მაღალკვალიფიციური, ღვაწლმოსილი პროფესორ-მასწავლებლები ემსახურებიან თაობათა აღზრდის უმნიშვნელოვანეს საქმეს. სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ნიკოლოზ გონგაძემ**, ხანგრძლივი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს დაუკავშირა. ბატონ ნიკოსთან ჩვენი საუბარი წლების წინ, მის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, შედგა. დღეს, უკვე უმაღლესი აკადემიური წოდების მინიჭების შემდეგ, ვეცადეთ მის მიერ განვლილ გზაზე მოგვეთხრო მკითხველისთვის... უფრო სწორად, მთხრობელი თავად გახლავთ, – საინტერესო პიროვნება და რესპონდენტი. ღვაწლმოსილი პროფესორისთვის, რომელსაც ახლახან ემერიტუსის უმაღლესი აკადემიური წოდება მიენიჭა, კვლავ აქტუალურ და პრიორიტეტულ თემებად რჩება საყვარელი უნივერსიტეტი და ფარმაკოლოგია, პედაგოგები, რომელთა ღვაწლსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პროფესიონალად ჩამოყალიბებაში, სტუდენტები, რომლებთან ურთიერთობაც, უკვე მრავალი წელია, მისი საქმიანობის განუყოფელ ნაწილად იქცა და მათი წარმატებები ყოველთვის განსაკუთრებულად ახარებს...

საუბარი სტუდენტობის გახსენებით დავიწყეთ:

– ექიმობა, მართალია, რთულ, მაგრამ ჰუმანურ და საინტერესო პროფესიად მესახებოდა ჯერ კიდევ ბავშვობიდან. ჩემი პროფესიული არჩევანიც ამან განაპირობა. საუკეთესო და ლამაზი პერიოდი იყო სტუდენტობა. ჩვენი კურსი ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ მაშინ სამედიცინო ინსტიტუტში, შეიძლება ითქვას, ეს იყო საუკეთესო პლეადა, რაც იმითაც დადასტურდა, რომ არაერთი ამ სტუდენტებიდან შემდგომ მედიცინის სხვადასხვა დარგის აღიარებული სპეციალისტი გახდა და დიდი წვლილი შეიტანა მედიცინის განვითარებაში. ბევრი ჩემი თანატოლისგან განსხვავებით, არ მქონდა გადაწყვეტილი, რომელ მიმართულებას ავირჩევდი, თუმცა სწავლის და პროფესიონალად შედგომის სურვილი დიდი იყო. ჯერ კიდევ მე-2 კურსიდან ვმუშაობდი მაშინდელი მე-9 საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში, ასევე, ხშირად ვესწრებოდი ოპერაციებს; მოკლედ, პრაქტიკულ მედიცინაში საქმიანობა მიზიდავდა. არჩევანის საკითხი ასე იდგა ჩემთვის: თერაპია ან ქირურგია. ფარმაკოლოგობაზე მაშინ არც მიფიქრია. სუბორდინაციის გავლის შემდეგ თერაპიით მეტად დავინტერესდი. ვთვლიდი, რომ თერაპია, მეცნიერულ და პრაქტიკულ ასპექტში, აერთიანებს ყველა პრერეკვიზიტულ საგანს, რომელიც ვისწავლე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი ქ. რუსთავის სასწრაფო დახმარების სადგურში.

ჩემი დიდი სურვილი – ექიმი თერაპევტი გავმხდარიყავი – არ განხორციელდა და ბედმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის კათედრაზე მომიყვანა. სწორედ ამ დღიდან ჩემი ცხოვრება მჭიდროდ უკავშირდება ამ უნივერსიტეტს, რომელსაც სამართლიანად ვუწოდებთ Alma Mater-ს. გზა ჩემი სახლიდან სამედიცინო უნივერსიტეტამდე მცირე მანძილს მოიცავს, თუმცა დიდი ხანია, აგერ უკვე, 47 წელია, ამ გზის ერთგული ვარ.

1978 წელს, კონკურსის საფუძველზე, ამირჩიეს ფარმაკოლოგიის კათედრის ასისტენტად, მოგვიანებით დავიცავი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, გავხდი დოცენტი, პროფესორი, შემდეგ – კათედრის გამგე...

**– და, ალბათ, სწორედ აქ, თქვენი საქმიანობის საწყის ეტაპზე, აღმოაჩენთ, რომ ფარმაკოლოგია მეცნიერებაა, რამაც მოგცათ ბიძგი საინტერესო კვლევებისკენ...**

– დიახ, ფარმაკოლოგიაში საქმიანობა აზროვნებას მოითხოვს, ინტერპრეტაციის უნარს... წამალი პრაქტიკაში დანერგვასა და გამოყენებამდე ხომ ურთულეს ეტაპებს გადის – საჭიროა მისი ფუნდამენტური, ღრმა მეცნიერული კვლევა. ნებისმიერი წამალი, სანამ მას პაციენტი მიიღებს, უნდა იყოს განხილული, შესწავლილი, შემოწმებული ფარმაკოლოგების მიერ, რაც, ბუნებრივია, დიდ შრომას მოითხოვს. შესაბამისად, ფარმაკოლოგი უნდა ერკვეოდეს ანატომიაში, ჰისტოლოგიაში, ადამიანის ნორმალურ ფიზიოლოგიაში, პათოფიზიოლოგიაში, ბიოქიმიაში. ფარმაკოლოგია საინტერესო იმიტომაცაა, რომ იგი ყველა ბაზისური დისციპლინის სინთეზია მედიცინაში, კომპლექსური დარგია და ბუფერულ რგოლად გვევლინება თეორიულ და პრაქტიკულ მედიცინას შორის. ჩემი მეცნიერული მიმართულება მოიცავს გულ-სისხლძარღვთა და ცნს-ს, ქრონოფარმაკოლოგიას და პეპტიდური ნაერთების ფარმაკოლოგიას. გახლავართ 285 მეცნიერული პუბლიკაციის, 4 მონოგრაფიის და 3 წიგნის თანაავტორი.

**– ყოველთვის მადლიერებით იხსენებთ თქვენს პედაგოგებს; მიგაჩნიათ, რომ წარმატებულ კარიერას, პირად ღირსებებთან ერთად, არცთუ იშვიათად, მასწავლებლები განსაზღვრავენ?**

– ეს ხშირად ასეა. ჩემს ცხოვრებაშიც მათ განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ და, ბუნებრივია, ყოველთვის პატივისცემით ვიხსენებ. პროფესორები: **გრიგოლ გვიშიანი, დავით კვაჭაძე** და **გივი თურმანაული** სამივე ფარმაკოლოგიის კათედრის გამგე გახლდნენ სხვადასხვა დროს და დიდი ღვაწლი დასდეს დარგის განვითარებას. ისინი სრულიად განსხვავებული ბუნების ადამიანები იყვნენ, მაგრამ თითოეულისგან ბევრი ვისწავლე: ბატონი გრიგოლისგან საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობის გრძნობა; ბატონ გივისთან ურთიერთობა, შეიძლება ითქვას, სიმშვიდის, სტაბილურობის, კომფორტული დამოკიდებულების მაგალითი გახლდათ. როგორც ფარმაკოლოგი, ვიტყოდი, რომ, ერთგვარად, სედაციურად მოქმედებდა ადამიანებზე; ოპტიმისტი იყო და გვასწავლიდა, რომ არასოდეს უნდა დანებდე და აუცილებლად გამოჩნდება გზა, რომელიც მიზნამდე მიგიყვანს. რაც შეეხება ბატონ დავითს, მასზე უსასრულად შემიძლია ვისაუბრო, როგორც პროფესიონალზე, არაჩვეულებრივ ექსპერიმენტატორზე, უგანათლებულეს და თბილისში პოპულარულ პიროვნებაზე, რომელიც, ჯერ კიდევ საბჭოთა სინამდვილეში, ახერხებდა საჭირო კონტაქტების დამყარებას უცხოელ კოლეგებთან. ის ჩემი უფროსი მეგობარიც გახდა მოგვიანებით და ჩემი პროფესიონალად ჩამოყალიბება, დიდწილად, სწორედ მისი დამსახურებაა. აქვე გავიხსენებ ჩემი დისერტაციის ხელმძღვანელს სანკტ-პეტერბურგში, პროფესორ ვიტალი ცირლინს, რომელთან ნაცნობობას და პროფესიულ კონტაქტსაც ბატონ დავითს ვუმადლი.

**– პედაგოგის მიერ გაცემული ცოდნა მის სტუდენტებში მანიფესტირდებაო, - აღნიშნავდით ადრინ-**

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ 6-ᲖᲔ

# უმაღლესი აკადემიური წოდება, როგორც მნიშვნელოვანი აღიარება

დასაწყისი გვ 5-ზე

**დელ ინტერვიუში. ხშირად ასეა, თუმცა, ალბათ, - არა ყოველთვის...**

– გამონაკლისი შემთხვევები ყოველთვის არსებობს, რადგან, როგორც ყოველი ადამიანი, სტუდენტებიც განსხვავებულები არიან. ზოგი მეტად მონდომებულია ცოდნის მიღებისთვის, ზოგი – ნაკლებად. დღეს დეპარტამენტში მასწავლებლის პოზიციას იკავებენ ახალგაზრდები, რომლებიც სულ რამდენიმე წლის წინ გამორჩეული სტუდენტები იყვნენ. ავანგარდი, ანუ საუკეთესო ნაწილი, ყოველ დროში არსებობდა და ასეა დღესაც. ისინი პედაგოგების მხრიდან განსაკუთრებული ხელშეწყობის გარეშეც ახერხებენ რეალიზებას – სწავლობენ, ეძიებენ, ამყარებენ კონტაქტებს უცხოელ თანატოლებთან, მით უფრო, რომ დღეს ამის დიდი შესაძლებლობაა, რადგან, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით, პრიორიტეტულია უცხოეთის განვითარებული ქვეყნების უნივერსიტეტებთან კონტაქტები, არის გაცვლითი პროგრამები, სტაჟირებები, რასაც სტუდენტის პროფესიული ზრდისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთი ახალგაზრდები, კარგი გაგებით, მაქსიმალისტები არიან, არ კმაყოფილდებიან არსებულით, უნდათ მეტი და მეტი ისწავლონ, შეიმეცნონ, რომ გახდნენ საუკეთესო სპეციალისტები, რაც, ვფიქრობ, ჯანსაღი ამბიციაა...

**– ბევრ მათგანს აღუნიშნავს, რომ ერთ-ერთი საუკეთესო და მათთვის საყვარელი ლექტორი ბრძანდებით. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

–სასიამოვნოა, თუკი ეს ასეა. განსაკუთრებული მცდელობა არასოდეს მქონია, რომ ასე წარმოვჩინდე. უბრალოდ, ვცდილობ, სამართლიანი ვიყო, რასაც ისინი ხედავენ და აფასებენ. ვფიქრობ, რომ სტუდენტი, გარკვეულწილად, ბარომეტრია; იგი ობიექტური შემფასებელია სასწავლო პროცესის, ლექტორის და საკუთარი შესაძლებლობებისაც. ცხადია, ის უნდა გრძნობდეს პატივისცემას, კეთილგანწყობას ლექტორისგან, ასევე, მაგალითად, უნდა ხედავდეს, რომ ლექციას არა მოვალეობის მოხდის მიზნით, არამედ სიამოვნებით კითხულობს ლექტორი და რჩევებსაც მისი პროფესიული განვითარების მიზნით აძლევს. მოკლედ, სტუდენტს და ლექტორს შორის ორმხრივი კავშირი უნდა იყოს. სტუდენტები პასიური მსმენელები კი არ უნდა იყვნენ, არამედ თამამად დასვან ნებისმიერი, თუნდაც აბსურდული ხასიათის, მაგრამ მათთვის საინტერესო შეკითხვა და მიიღონ ამომწურავი პასუხი. ეს ხომ გამორიცხვის მეთოდით გზაა სწავლისკენ, შემეცნებისკენ. დიდი მეცნიერები უშვებდნენ სერიოზულ შეცდომებს, სანამ ჭეშმარიტებამდე მივიდოდნენ. ხშირად ვეუბნები მათ: მხოლოდ გამოცდისთვის კი არ უნდა მოემზადოთ, მთავარია, ცოდნა შეიძინოთ, რომელიც დაგეხმარებათ პროფესიულ განვითარებაში.

**– ფუნდამენტური კვლევები ნებისმიერ დარგში მეცნიერების განვითარების წინაპირობაა, რაც მეტ ყურადღებას და ხელშეწყობას მოითხოვსო, - ბრძანებდით ადრე...**

– იგივეს გავიმეორებ დღესაც. ქართველები მაქსიმალისტები ვართ, არც ნიჭიერება გვაკლია, გვაქვს ამბიცია, ავანგარდში ვიყოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს ვერ ხერხდება. ფუნდამენტურ კვლევებს იმიტომ გამოვყოფ, რომ წინსვლა, განვითარება მედიცინაში ფუნდამენტურ ექსპერიმენტულ მიღწევებს ეფუძნება. ფარმაკოლოგიაზე რომ ვისაუბროთ, ვერ დანერგავ ვერაფერს, თუ ექსპერიმენტში არ შეისწავლი. ანუ წინაპირობა ექსპერიმენტია, თუმცა ეს ექსპერიმენტი რომ რეალიზებული იყოს, ამას სერიოზული ფინანსური რესურსი სჭირდება. განვითარებულმა ქვეყნებმა, თავის დროზე, ყველაფერი გააკეთეს არა მარტო მედიცინის, ნებისმიერი დარგის განვითარებისთვის. მაგალითად, ჩინეთში, რომელსაც დღეს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები ჰყავს ყველა სფეროში, არ უცდიათ, როგორც იტყვიან, ახალი ველოსიპედის გამოგონება, – გამოყვეს სოლიდური თანხები და ახალგაზრდები მიავლინეს, აშშ-ის და ევროპის საუკეთესო ცენტრებსა თუ უნივერსიტეტებში სასწავლებლად და როცა ისინი უკვე კვალიფიციური სპეციალისტები გახდნენ, ჩინეთში ყველანაირი პირობა შეუქმნეს საქმიანობისთვის. ეს მოხდა ბოლო 30 წლის განმავლობაში და ჩინეთი დღეს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა და ტოლს არ უდებს მსოფლიოს არცერთ განვითარებულ ქვეყანას, მათ შორის, – ამერიკის შეერთებულ შტატებს...

ვფიქრობ, ჩვენთან, უპირველესად, უნდა შეიცვალოს ადამიანების, თითოეული ჩვენგანის, მსოფლმხედველობა. გახსოვთ, ალბათ, ჯონ კენედის ცნობილი ფრაზა, სანამ იგი ჯერ კიდევ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდებოდა: „ნუ ეტყვით მთავრობას, რა გინდათ თქვენ, თქვით, თავად რა გააკეთეთ ამერიკისთვის“... ასე შორსაც რომ არ წავიდეთ, ილია ჭავჭავაძე გავიხსენოთ: -„ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე: აბა დღეს მე ვის რა ვარგე?“. თუკი ამ მსოფლმხედველობით და პასუხისმგებლობით ვიცხოვრებთ, ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება...

**– საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წამლის სააგენტოს მთავარი სპეციალისტ-კონსულტანტიც ბრძანდებით. ამ კუთხით თქვენი საქმიანობის შესახებ რას გვეტყოდით?**

– საბჭოთა კავშირის დემონტაჟის შემდეგ, კოლეგებმა და მეგობრებმა, დაავარსეთ ფარმაკოლოგიური კომიტეტი, რომელსაც ექიმი ზაზა ბოკერია ხელმძღვანელობდა. ამ კომიტეტის თავმჯდომარე გახლდით 1992 წლიდან 2004 წლამდე. შემდეგ სტრუქტურამ ტრანსფორმაცია განიცადა. ამ პერიოდში, წამალთა ექსპერტიზისა და უსაფრთხოების დარგში, მრავალი ტრენინგი გავიარე ბუდაპეშტში, კოპენჰაგენში, პარიზში, პრაღაში. ვიყავი, ასევე, ამ მიმართულებით მსოფლიოს ორი კონგრესის მონაწილე (ამსტერდამი და მანამა (ბაჰრეინი)).

**– თქვენ მიერ განვლილ გზას რომ გადახედოთ, ყველაზე დიდ გამართლებად და წინაღობად რას მიიჩნევდით ამ გზაზე?**

– წინაღობა, ბუნებრივია, ყველა ადამიანს ხვდება ცხოვრების გზაზე, თუმცა ჩემთვის სერიოზული ხელშემშლელი არ ყოფილა კარიერული წინსვლისთვის; რაც შეეხება გამართლებას, ფატალისტი არ გახლავართ, თუმცა ყოფილა ჩემს ცხოვრებაში უცნაური შემთხვევები თუ დამთხვევები, რაც დამეხმარა მიზნის მიღწევაში. ყველაზე დიდ გამართლებად, მაინც, ძალიან საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობას მივიჩნევ, რომლებიც, საბედნიეროდ, შემხვდნენ ცხოვრების გზაზე და დიდი გავლენაც მოახდინეს ჩემს პიროვნულ თუ პროფესიულ განვითარებაზე.

**– ბუნებრივია, უმაღლესი აკადემიური წოდების მინიჭება დიდი დაფასებაც არის და პასუხისმგებლობაც, გარკვეულწილად – სხვა ეტაპიც... რას გვეტყვით, როგორც თსსუ-ის ემერიტუსი?**

– ცხადია, ეს აღიარებაცაა და სასიხარულოა, რომ ჩემი მცირედი ღვაწლი დაფასდა. ნებისმიერ ეტაპზე გადასვლა გარკვეულ მობილიზებას მოითხოვს; ზოგჯერ ადვილიც არ არის იმის გაცნობიერება, რომ სრულდება ერთი და იწყება სხვა ეტაპი შენს ცხოვრებაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია. ვფიქრობ, ფიქრისა და განსჯისთვის მეტი დრო მექნება. ახალგაზრდებთან ურთიერთობა კვლავ პრიორიტეტულ საკითხად რჩება; გარდა ლექციებისა, ვეცდები ახალგაზრდა თანამშრომლებს მეტი დრო დავუთმო – დეპარტამენტს ხომ ღირსეული ცვლა უნდა ჰყავდეს სამომავლოდ.

ახალი თაობა კი, დარწმუნებული ვარ, მნიშვნელოვან სიტყვას იტყვის მედიცინის განვითარებაში; გარდა იმისა, რომ ისინი ბევრად თავისუფალ გარემოში აღიზარდნენ, უნივერსიტეტმაც დიდად შეუწყო ხელი მათ განვითარებას. „უნივერსიტეტში ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონა სტუდენტია“, – არაერთხელ აღუნიშნავს უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას. მართლაც, გარდა თსსუ-ში შექმნილი საუკეთესო პირობებისა, მათ გზა ხსნილი აქვთ უცხოეთის საუკეთესო ცენტრებისა თუ უნივერსიტეტებისკენ, რაც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცოდნის მიღებას უწყობს ხელს...

**– ალბათ, არცთუ უმნიშვნელო ფაქტორია ისიც, რომ ისინი თითქმის ასწლოვანი ისტორიის და მდიდარი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტის სტუდენტები არიან...**

–ასეა... თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსის ჰოლში როგორც კი შეაბიჯებთ, მზერას იმთავითვე იპყრობს უნივერსიტეტის მესვეურთა, მედიცინის კორიფეთა სამი პლეადის წარმომადგენელთა ფოტოსურათები. ეს კარგად მეტყველებს ამ უნივერსიტეტის წარსულზეც, აწმყოზეც და ნათელი მომავლის რწმენაზეც, რაც ასე მკაფიოდ გაცხადდა უნივერსიტეტის დევიზითაც – „ტრადიციებით მომავლისკენ“...

ესაუბრა ნატო ბოლქვაძე

# „ემერიტუსობა დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა“

ძნელია სრულად შეაფასო პროფესორ-მასწავლებელთა ღვაწლი, ვინც აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის ხანგრძლივი გზა გაიარეს, თუმცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყოველთვის პატივს მიაგებდა მათ დაუღალავ შრომას, ენთუზიაზმს, დიდ ძალისხმევას ამა თუ იმ დარგის განვითარებისა და თაობების პროფესიონალად ჩამოყალიბების საქმეში. იმ პროფესორ-მასწავლებელთა შორის, ვისაც ემერიტუსის უმაღლესი აკადემიური წოდება მიენიჭა, ჯანმრთელობის ხელშეწყობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი **ბიძინა ზურაშვილიცაა**, რომელიც სიამოვნებით გვესაუბრა მის პროფესიულ არჩევანზე, ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მიღწეულ წარმატებებსა თუ შემხვედრ სირთულეებზე... ეამაყება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანობის დროს განხორციელებული წარმატებული რეფორმები და ისიც, რომ ფაკულტეტიდან პირველი ემერიტუსია...

**– ბატონო ბიძინა, როგორი იყო თქვენი პირველი ნაბიჯები პროფესიისკენ სავალ გზაზე, რა იყო განსაკუთრებით დასამახსოვრებელი და გასათვალისწინებელი, რამაც განსაზღვრა თქვენი მომავალი პროფესიული საქმიანობა?**

– დავიწყებ იქედან, რომ დავიბადე სოფელში (სიღნაღის რაიონის სოფელი ძველი ანაგა), სადაც ექიმი არ იყო წლების განმავლობაში და მოსახლეობა ერთი ექთნის და ერთი ბებიაქალის იმედად იყო მხოლოდ. მიუხედავად მათი კვალიფიციურობისა, ეს სერიოზული პრობლემა იყო. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, ექიმი გავმხდარიყავი, ვფიქრობდი: შესაბამისი განათლების მიღების შემდეგ სოფელს ექიმად დავუბრუნდები-მეთქი. მერე სხვა გზით წავედი, თუმცა პროფესიული არჩევანი ამან განაპირობა. სამწუხაროდ, ვერ მოვხვდი მაშინდელ სამედიცინო ინსტიტუტში და, დრო რომ არ დამეკარგა, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში ჩავაბარე. ორწლიანი სწავლის შემდეგ, მივხვდი, რომ ეს არ იყო ჩემი საქმე; გული კვლავ ექიმობისკენ მიწევდა, ისევ ვცადე ბედი, ამჯერად - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარიულ-ჰიგიენურ ფაკულტეტზე, მცდელობამ გაამართლა და სტუდენტი გავხდი. შემდეგ (1998 წელს) ფაკულტეტს შეეცვალა სახელი და ნაცვლად სანიტარიულ-ჰიგიენურისა, ეწოდა პროფილაქტიკური მედიცინის ფაკულტეტი. 2002 წელს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი.

1972 წელს ჩავაბარე და ამის შემდეგ არსად წავსულვარ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან, სხვადასხვა დროს სხვადასხვა პოზიციაზე ვმუშაობდი... უნივერსიტეტი ჩემთვის ყველაფერია, აქ გავხდი ასპირანტი, ასისტენტი, დოცენტი, ასოცირებული პროფესორი, პროფესორი და ახლახან – ემერიტუსი.

**– სტუდენტობას როგორ გაიხსენებთ?**

– იშვიათია ადამიანი, სტუდენტობის წლები რომ ლამაზ მოგონებად არ გაჰყვეს. ვიტყოდი, რომ ეს იყო საოცრად ნათელი პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. კარგი კურსელები და პედაგოგები მყავდა. ალბათ არც ღირს გახსენება, მაგრამ ესეც ჩემი ცხოვრების ნაწილია და ვიტყვი: აქტიურად ვიყავი ჩართული სტუდენტურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც მაშინ განუყოფელი იყო კომკავშირულ (მოგვიანებით – პარტიულ) საქმიანობასთან. რთული დრო იყო, თუმცა მაშინაც შეიძლებოდა კარგის სწავლა და შეთვისება, რაც მთავარია, სტუდენტობას რომ ვიხსენებ, ძალიან მრავალფეროვანი, საინტერესო ღონიძიებებით დატვირთული იყო. სამეცნიერო მუშაობით მაშინ დავინტერესდი და აქტიურად ვიყავი თარხნიშვილის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ჩართული. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ცენტრალურ კვლევით ლაბორატორიაში კი ყველა პირობა იყო შექმნილი კვლევით დაინტერესებული სტუდენტებისთვის. ეს იყო უთუოდ საინტერესო და დასამახსოვრებელი პერიოდი.



**– უნივერსიტეტის სახელოვან პროფესორ-მასწავლებლებთან ურთიერთობიდან რა შემორჩა მკვეთრად მეხსიერებას, რაც სულ თან გდევთ და არ გავიწყდებათ?**

–არაჩვეულებრივი პედაგოგები მყავდა. სიამოვნებით და დიდი პატივისცემით გავიხსენებ პროფესორებს: **თამარ ქებურიას, ლევან საყვარელიძეს, ნიკოლოზ ლეგრანს, შოთა ღლონტს, არკადი ჩხენკელს, ვასო კაციტაძეს, კონსტანტინე კაციტაძეს, გივი კვანჭახაძეს, კლარა გელაშვილს, იოსებ შენგელიას, ცინო გაჩეჩილაძეს**... მახსოვს და არ მავიწყდება, მაგალითად, პროფესორ **მაყვალა ზურაბაშვილის** საოცარი ლექციები. ეს ადამიანები პროფესიონალიზმის, კეთილშობილების, კაცთმოყვარეობის, პრინციპულობის, სამართლიანობის მაგალითს გვაძლევდნენ და, ცხადია, სწორედ ამით მოახდინეს გავლენა და განსაზღვრეს ჩვენი პრიორიტეტები, გნებავთ, ცხოვრების კრედო...

**– ექიმობა ხომ თავისთავად რთული და საპასუხისმგებლო პროფესიაა, ექიმ ჰიგიენისტს, ეპიდემიოლოგს, კიდევ უფრო განსხვავებული პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოების წინაშე, რაც კარგად გამოჩნდა კოვიდპანდემიის პერიოდშიც...**

– საზოგადოებრივი ჯანდაცვის გარეშე წარმოუდგენელია ჯანდაცვის სისტემის განვითარება ნებისმიერ ქვეყანაში. სტუდენტებისთვის ხშირად მითქვამს: მედიცინაში ორი მიმართულებაა - სამკურნალო და პროფილაქტიკური. დღეს ცივილიზებული სამყარო აქცენტს აკეთებს დაავადების პრევენციაზე. პრევენციის მიზანი კი ის გახლავთ, რომ დაავადება არ განვითარდეს, ან ადრეულ სტადიაზე აღმოვაჩინოთ, რომ შემდეგ მკურნალობა ადვილიც და იაფიც იყოს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მედიცინა მომსახურების სფეროა, რომელიც ბიზნესის განვითარების ყველა კანონს ემორჩილება. ევროპელებმა კარგად იციან, რომ ნაკლების გადახდა და ჯანმრთელობის პრევენცია სჯობს. ჩვენი პროფესიის არსიც ეს არის – დარგი ემსახურება საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვას და მიმართულია დაავადებათა პრევენციისკენ. და ეს ეხება არა ერთი რომელიმე დაავადების ან პაციენტის მკურნალობას თუ პრევენციას, არამედ, მთლიანად, საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვას და მოიცავს ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობას, მოსახლეობის დაცვას ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ფსიქოფიზიოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებისგან, გადამდები და არაგადამდები დაავადებების პრევენციას, გარემოს ჯანმრთელობას, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებს და ყველა იმ ფაქტორის შესწავლას და მონიტორინგს, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება საზოგადოების ჯანმრთელობას.

დასასრული გვ 7-ზე

## „ემერიტუსობა დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა“

დასაწყისი გვ 6-დან

საჭირო და აუცილებელია დაავადების გამომწვევი მიზეზების მოძიება და ზომების მიღება მისი თავიდან ასაცილებლად. ჩვენი მოვალეობა ისიცაა, დავარწმუნოთ საზოგადოება პრევენციული ღონისძიებების გატარების აუცილებლობაში. პანდემიის პერიოდმა ნათლად აჩვენა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ელემენტარული ჰიგიენური ნორმების დაცვას. რეკომენდაციებს აღარ შეგახსენებთ, იმდენად გაითავისა ეს საზოგადოებამ იმ რთულ პერიოდში. გარდა ამისა, ვირუსის გავრცელების შესამცირებლად საჭირო ზომების გატარება ითვალისწინებდა ვაქცინაციას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ვირუსის დამარცხების თვალსაზრისით. საქართველოში დღეს ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლასა და, მთლიანად, დაავადებათა პრევენციის საქმეში მნიშვნელოვანი როლი აკისრია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს, რომელიც, პროფესორ ლევან საყვარელიძის ინიციატივით, შავი ჭირის საწინააღმდეგო სადგურის ბაზაზე შეიქმნა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის არაერთი პრობლემის გადაჭრაში ფაკულტეტის პედაგოგ-მასწავლებლებმა დიდი წვლილი შეიტანეს. მაგალითად, პროფესორ კონსტანტინე კაციტაძის ხელმძღვანელობით მოხდა ისეთი მძიმე დაავადებების ლიკვიდაცია, როგორიცაა – პარტახტიანი ტიფი, დიფტერია და სხვ.; პროფესორ კლარა გელაშვილის ინიციატივით და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა პროფილაქტიკური მედიცინის აკადემია, რომელიც დღესაც წარმატებით აგრძელებს საქმიანობას.

**– 2005 წლიდან 2016 წლამდე თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი ბრძანდებოდით, რაც, ალბათ, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გაკისრებდათ. როგორ ფიქრობთ, რისი გაკეთება შეძელით და გქონდათ თუ არა სურვილი, გნებავთ, გეგმები, რისი განხორციელებაც ვერ მოხერხდა?**

– დეკანობა, ცალსახად, დიდი პასუხისმგებლობა იყო, თუმცა მეამაყება ერთი რამ: როცა დეკანი გავხდი, ფაკულტეტზე ხუთნლიანი სწავლება გახლდათ და სულ 100 სტუდენტი სწავლობდა, 2016 წელს კი, დეკანობის ორი ვადის ამოწურვის შემდეგ, უკვე – 650 სტუდენტი, რაც ნიშნავს, რომ ფაკულტეტზე, აბიტურიენტების მხრიდან, მოთხოვნა მზარდი გახდა, განხორციელდა სამსაფეხურიანი სწავლება ბაკალავრების, მაგისტრების და დოქტორების მოსამზადებლად. 2012 წელს, სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, ძალისხმევით, ფაკულტეტზე ამოქმედდა მეორე საბაკალავრო პროგრამა – „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“, რომელიც ხორციელდება ფრანგულ მხარესთან ერთად და პარტნიორია მენეჯმენტის და აღსრულების აკადემია Uni-Man. 2015 წელს ეს საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულეს პირველმა კურსდამთავრებულებმა. მნიშვნელოვანია, რომ ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს ეძლევათ ორი დიპლომი: ერთი – ქართული, ხოლო მეორე - საფრანგეთის მხარის მიერ აღიარებული. 2007 წელს ფაკულტეტის შემადგენლობაში შეიქმნა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საერთაშორისო სკოლა, მჭიდრო კავშირი დამყარდა ოლბანის უნივერსიტეტთან (აშშ), სადაც ჩვენმა სტუდენტებმა სწავლების ერთი სემესტრი გაიარეს; ასევე, უცხოეთის უნივერსიტეტების შესაბამის ფაკულტეტებთან და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლებთან. გული მწყდება იმაზე, რომ დღეს საექიმო საქმიანობის უფლება აღარ ვრცელდება ფაკულტეტის კურსდამთავრებულებზე. თუკი მე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მომენიჭა ექიმი ჰიგიენისტის, ეპიდემიოლოგის კვალიფიკაცია, რაც დიპლომში აღნიშნულია, ახლანდელი კურსდამთავრებული უკვე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრი, ან – საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი გახლავთ. დიდი სურვილი მქონდა, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილიყო სერტიფიცირებული სანიტარიული ლაბორატორია, რაც ვერ განხორციელდა. ვფიქრობ, რთული ამოცანა იყო და მიზეზებზე საუბარიც შორს წაგვიყვანს...

**– თქვენ და სტუდენტები...**

– სტუდენტები, საერთოდ, ახალგაზრდები, ძალიან მიყვარს... თუ შეიძლება ითქვას, ენერგიას ვიღებ, დადებითად ვიმუხტები მათთან ურთიერთობით – ეს არის ჩემი ჰობიც, გატაცებაც... არაერთხელ მითქვამს მათთვის, რომ გამიჭირდებოდა, არსებობაც კი, მათ გარეშე. მიმაჩნია, რომ მოდის კარგი თაობა – თავისუფალი, ლაღი, ორიენტირებული ცოდნის შეძენაზე... უნივერსიტეტში ბოლო ათწლეულის მანძილზე არაერთი სასიკეთო საქმე გაკეთდა სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის სამედიცინო განათლების მიღების თუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რაც უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის და კანცლერის, პროფესორების - ზურაბ ვადაჭკორიას და ზურაბ ორჯონიკიძის დამსახურებაა. უნდა ითქვას ისიც, რომ დღეს შესაძლებლობებიც ფართოა; მაგალითად, შეგიძლია, ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინტერნეტის საშუალებით წიგნი მოიძიო და წაიკითხო, რაც, ცხადია, დიდი მიღწევაა. სტუდენტობის დროს ჩვენ ზოგიერთ საგანში ქართულ ენაზე წიგნები არ გვქონდა. დღეს თითქმის ყველა დისციპლინაში არსებობს ლიტერატურა, რომელსაც სტუდენტი მშობლიურ ენაზე გაეცნობა.

**– სახელმძღვანელოების თემას შევეხეთ და რამდენიმე თვის წინ გამოიცა სახელმძღვანელო – „სამედიცინო ეკოლოგია“, რომლის ერთ-ერთი ავტორიც ბრძანდებით...**

– ჯერ კიდევ ჩემი დეკანობის პერიოდში ახალი საგნები დაემატათ სტუდენტებს; სამაგისტრო პროგრამის – „გარემოს მედიცინა“ – მაგისტრანტებისთვის თავად შევქმენი მოდული - სამედიცინო ეკოლოგია. ამავე სახელწოდების წიგნის განახლებული გამოცემის პრეზენტაცია შედგა გასული წლის ოქტომბერში, XV საიუბილეო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე – „ჯანმრთელობა და ეკოლოგია“. მოგეხსენებათ, ეკოლოგია ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში შეიჭრა და შეიქმნა „სოფლის მეურნეობის ეკოლოგია“, „სამრეწველო ეკოლოგია“, „საინჟინრო ეკოლოგია“, „სოციალური ეკოლოგია“ და ა. შ. ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება „სამედიცინო ეკოლოგიის“ საგანს, რომელიც, უპირველესად, ადამიანის ორგანიზმზე ეკოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების შესწავლას და მათ მიერ გამოწვეული ეკოლოგიური დაავადებების პროგნოზირებასა და პრევენციას გულისხმობს. ამიტომ, სამედიცინო ეკოლოგიის, როგორც სასწავლო დისციპლინის, საკითხების ცოდნა, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მომავალი მედიკოსების ჩამოყალიბების საქმეში და, ზოგადად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის განვითარებაში.

**– ბატონო ბიძინა, რამდენადაც ვიცით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით, ჩვენი უნივერსიტეტიდან პირველს გერგოთ პატივი ემერიტუსი გამხდარიყავით...**

– დიახ, ასეა. ფაკულტეტზე წლების განმავლობაში მაღალკვალიფიციურმა პროფესორ-მასწავლებლებმა ჯანდაცვის სპეციალისტთა ღირსეული თაობები აღზარდეს; ნებისმიერი მათგანის ღვაწლს სრულად მიესადაგებოდა და დაამშვენებდა უმაღლესი აკადემიური წოდება, რომელსაც, სამწუხაროდ, მაშინ არ ანიჭებდნენ. ცხადია, ემერიტუსობა დიდი პასუხისმგებლობა და პატივია, შენ მიერ გაწეული შრომის დაფასების გამოხატულებაა, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და ყველას, ვინც მიიჩნევს, რომ თუნდაც მცირედი წვლილი შევიტანე დარგის განვითარებისა და ახალგაზრდების მომავალ პროფესიონალებად ჩამოყალიბების საქმეში.

**ესაუბრა ნატო ბოლქვაძე**

*ხსოვნა*

## დიდი დანაკლისი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, მკვლევარები, რეზიდენტები და ადმინისტრაცია გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა პროფესორი რევაზ თაბუკაშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ექიმთა ასოციაციის საბჭოს და საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ასევე, საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის აკადემიის, ამერიკის მეცნიერებათა წინსვლის ასოციაციის (AAAS) და ათეროსკლეროზის ევროპის ასოციაციის წევრი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი რევაზის აქტიურმა და ნაყოფიერმა პროფესიულმა ცხოვრებამ (ორმოცდაათ წელიწადზე მეტი) განვლო მის მშობლიურ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში; მას სხვაგან არ ულვაწია. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად — სამედიცინო უნივერსიტეტის) წარჩინებით დამთავრებისთანავე, 1972 წლიდან, სწავლა განაგრძო ასპირანტურაში ბიოქიმიის კათედრაზე; იყო ამავე კათედრის ასისტენტი (1975-1980). შემდეგ ბატონმა რევაზმა პროფესიული მოღვაწეობა თანმიმდევრულად განაგრძო შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის კათედრაზე (ამჟამად – დეპარტამენტი): იყო ასისტენტი (1980-1990), დოცენტი (1990-1992), პროფესორი (1992-1994), კათედრის გამგე (1994-2006); (2006-დან სიცოცხლის ბოლო დღემდე - დეპარტამენტის ხელმძღვანელი).

რევაზ თაბუკაშვილი აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო სამეცნიერო კლინიკურ კვლევებში, ასევე, ექიმთა დიპლომისშემდგომ განათლებაში. მისი ხელმძღვანელობით შესრულდა არაერთი სადისერტაციო ნაშრომი; იგი 150-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი და რამდენიმე ათეული საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის აქტიური მონაწილე ბრძანდებოდა.

ჰუმანური თვისებებით, ორგანიზებულობით და პროფესიონალიზმით ბატონ რევაზს ღირსეული ადგილი ეკავა ქართულ სამედიცინო საზოგადოებაში. იგი გახლდათ დიდსა თუ პატარასთან კორექტული და გულღია ადამიანი, საიმედო და დასაყრდენი კოლეგა. დამსახურებული იყო მისი რენომე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის. განსაკუთრებით გულდასაწყვეტი კი ისაა, რომ ახლა, ამ პერიოდში არაფერი მოასწავებდა მის წასვლას: იგი მხნედ, ჩვეული ომახიანობით და ოპტიმიზმით, ეწეოდა პროფესიულ საქმიანობას.

პროფესორ რევაზ თაბუკაშვილის აკადემიური, სამეცნიერო თუ მოქალაქეობრივი ნაღვაწი არის და იქნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თითქმის საუკუნოვანი ისტორიის ნაწილი.

გულნაკლული გემშვიდობებათ თქვენი Alma Mater, ბატონო რევაზ.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**

*„ანამედროვე ორთოდონტია“*




2023-2024 სასწავლო წელს გამოიცა დოქტორ უილიამ პროფიტის სახელმძღვანელოს – „თანამედროვე ორთოდონტია“ – თარგმანი ქართულ ენაზე; მასში დეტალურად არის აღწერილი ორთოდონტიული პაციენტის დიაგნოსტიკა, მკურნალობის დაგეგმვა და მეთოდები. საკვანძო თემები მოიცავს კომპიუტერული ტექნოლოგიებით დამზადებული აპარატების პრაქტიკულ გამოყენებას, მკურნალობის ალტერნატიულ მიდგომებს, ორთოდონტიული აპარატების ბიომექანიკას, ეფექტური მკურნალობის პროცედურების შერჩევას, ბავშვთა და ზრდასრულთა კომპლექსური ორთოდონტიული პრობლემების მკურნალობას.

სახელმძღვანელოს მეექვსე გამოცემის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა უზრუნველყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა. თარგმანის მთავარი რედაქტორები არიან: ნატო მოსემღვდლიშვილი (თსსუ-ის ორთოდონტიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი), ნანა ყიფიანი (თსსუ-ის ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი). თარგმანის საორგანიზაციო ჯგუფი: – ნათია ნაცვლიშვილი (თსსუ-ის დოქტორანტი), ჯაბა ადამია (ორთოდონტი), ლელა შამათავა (ორთოდონტი), ლაშა გოგაშვილი (ორთოდონტი).

მთარგმნელთა ჯგუფის მიერ გაწეული დიდი შრომის შედეგად, მკითხველმა მიიღო საჭირო და საინტერესო წიგნი ორთოდონტიაში, რომელიც ამ დარგში მომუშავე ექიმების, სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის საუკეთესო შენაძენია.

ახალი მეექვსე გამოცემა, წინა გამოცემასთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეცვლილია, რათა შენარჩუნდეს წიგნის მთავარი მიზანი – უზრუნველყოს განახლებული შეხედულება ორთოდონტიაზე. ძირითადი ბაზისური ინფორმაცია წარმოდგენილია თითოეული კარის დასაწყისში, რომელსაც მოჰყვება დეტალური ინფორმაცია ორთოდონტთათვის.

მეექვსე გამოცემის ახალი ასპექტები მოიცავს კლასიკურ სტატიებს, თუმცა, მეტწილად, გამოყენებულია ახალი პუბლიკაციები. ახალი გამოცემის მიზანს წარმოადგენს თემატიკის დეტალური ანალიზი ათასობით მოძველებული სტატიის გამოყენების გარეშე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მტკიცებულებაზე დაფუძნებულ მკურნალობას, სისტემურ განხილვას და მეტა-ანალიზს, რომელიც მრავლობით კვლევას აერთიანებს.

წიგნში წარმოდგენილია რეკომენდაციები თანამედროვე მკურნალობის უპირატეს მეთოდებზე, რომელიც საბოლოოდ დამტკიცებული არაა, მაგრამ ამ ეტაპზე მიიჩნევა ყველაზე სწორ მიდგომად.

განახლებულ ვერსიაში, მტკიცებულებაზე დაფუძნებული კლინიკური შემთხვევების კვლევები წიგნში გამოყენებულია საკვანძო ინფორმაციის განმამტკიცებელ არგუმენტად, კლინიკური პრაქტიკის მოსამზადებლად.

გასაგები წერის სტილი და ლოგიკური თანმიმდევრობის ორგანიზება მკითხველს დაეხმარება მარტივად ჩაწვდეს მნიშვნელოვან და რთულ თემატიკას, თანამედროვე, განახლებურ ვერსიაში აღწერილია დეტალური ინფორმაცია დიაგნოსტიკის, მკურნალობის ახლებური დაგეგმვის და თანამედროვე მეთოდების შესახებ.

*განახლებული სახელმძღვანელოები*

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორის, ჯუმბერ კუჭუხიძის და ასოცირებული პროფესორის, მალხაზ ჯოხაძის, ავტორობით გამოიცა სახელმძღვანელები – „ბოტანიკა“ (მეორე გამოცემა) და „პრაქტიკუმი ბოტანიკაში“, რომელიც განკუთვნილია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების ფარმაციის პროფილის სტუდენტებისთვის.

„ბოტანიკის“ მეორე გამოცემა შედგენილია პირველი გამოცემის საფუძველზე, რომელიც გამოქვეყნდა 2012 წელს. ახალ გამოცემაში გასწორებულია პირველ გამოცემაში დაშვებული უნებლიე შეცდომები და ხარვეზები, ხოლო გარკვეული საკითხები ახლებურადაა დამუშავებული. მასალის ათვისების გასაადვილებლად სხვადასხვა ობიექტის განმასხვავებელი ნიშან-თვისებები ცხრილების სახითაა წარმოდგენილი. მრავალი სახეობის ლათინური სახელწოდება ლათინურ-ბერძნულიდანაა ქართულად ნათარგმნი.

ყურადღება გამახვილებულია მცენარეთა ანატომიაზე, მორფოლოგიაზე, სისტემატიკაზე, ეკოლოგიასა და გეოგრაფიაზე, ანუ იმ განყოფილებებზე, რომლებიც ყველაზე მეტადაა დაკავშირებული ფარმაკოგნოზიასთან. ვრცლად არაა განხილული მცენარეთა ფიზიოლოგიის, გენეტიკისა და ევოლუციური მოძღვრების საკითხები, რადგან ეს მასალა ბიოლოგიის კურსშია შეტანილი.

სისტემატიკის განყოფილებაში ის მონაცემებია წარმოდგენილი, რომლებიც აუცილებელია ბოტანიკის კურსის პროგრამული მასალის ასათვისებლად. ამ ნაწილში ახალი გააზრებითაა განხი-

დასასრული გვ 8-ზე

## ვაწარმო ეპიკური სახელმძღვანელოები

დასაწყისი გვ 7-დან




ლული სამი სამეფო: პროტოკტისტები, სოკოები და მცენარეები, ხოლო წინაბირთვული ორგანიზმები – მხოლოდ კონსპექტის დონეზე.

ყვავილოვან მცენარეთა ბოტანიკური ოჯახები შერჩეულია ფარმაციისა და მედიცინისათვის მნიშვნელოვანი ტაქსონების გათვალისწინებით. ამასთან, თითოეულ სამკურნალო მცენარეზე მითითებულია მონაცემები, რომლებიც ეხება მათ გავრცელებას, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, სამკურნალო და ფარმაკოლოგიურ მოქმედებას.

დამხმარე სახელმძღვანელოს – „პრაქტიკუმი ბოტანიკაში“ – შინაარსი და სტრუქტურა ითვალისწინებს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას; მათი შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ჩამოყალიბებას.

წიგნი მოიცავს ორ ნაწილს: მცენარეთა მორფოლოგია-ანატომიას და სისტემატიკას. მცენარეთა ფიზიოლოგიის საკითხები განხილულია ანატომიის პარალელურად.

პირველი ნაწილი ეხება ბოტანიკური მიკროტექნიკის საფუძვლებს, უჯრედის და ქსოვილების ანატომიას; ვეგეტატიური და გენერაციული ორგანოების მორფოლოგიასა და ანატომიას. ობიექტები ძირითადად შერჩეულია ფარმაციასა და მედიცინაში გამოყენებული ტაქსონების მიხედვით. მეორე ნაწილში – მცენარეთა სისტემატიკა – მოცემულია საქართველოს მცენარეთა მსხვილი ტაქსონების სარკვევი.

წიგნის თითოეული თავი მოიცავს შესაბამისი თემატიკის სრულ საინფორმაციო მასალას. ლაბორატორიული სამუშაოები შედგენილია სამუშაოს მიზნის და გეგმის ჩვენებით. ცალკეულ თემატიკაზე მოცემულია საკითხები სტუდენტთა დამოუკიდებელი სწავლებისთვის. სასწავლო მასალის და ლაბორატორიული სამუშაოების ათვისების შესაფასებლად შედგენილია საკონტროლო ბარათები და მათი სწორი პასუხების ეტალონები.

ორივე სახელმძღვანელო – „ბოტანიკა“ და „პრაქტიკუმი ბოტანიკაში“ – გარკვეულ სამსახურს გაუწევს უმაღლესი სასწავლებლების ბიოლოგიისა და მედიცინის შემსწავლელ სტუდენტებს.



ნაბიჯ-ნაბიჯ იზრდება, იხვეწება და ლამაზდება, ბოლოს კი სასურველ კონდიციამდე მიდის ყველა ის საქმე, რომელსაც დიდი სიყვარულით იწყებ, შრომას არ აკლებ და ენერგიით ავსებ...

ასეა აქაც – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრში – ხელოვნების ერთგვარ საუფლოში, ერთმანეთზე უკეთესი შემოქმედნი რომ მოღვაწეობენ. მათი დიდი დამსახურებაა, მრავალფეროვანი თეატრალური ცხოვრება და თანამედროვე თუ ხალხური სიმღერის და ცეკვის ანსამბლების წარმატებები...

...ახლაც, სარეპეტიციო დარბაზიდან, ტკბილხმოვანი ქართული სიმღერა ისმის. ზოგჯერ სიჩუმე ისადგურებს და ლოტბარის გარკვეული მინიშნებების მერე, ისევ კეთილხმოვანება ავსებს აქაურობას...

ბატონი დავითი — დათო რატიანი, თსსუ-ის სიმღერისა და ცეკვის სახალხო, დამსახურებული ანსამბლის ვაჟთა გუნდს და გოგონათა ანსამბლ „დეკას“ ხელმძღვანელობს, ასევე, კვინტეტ „ურმულის“ წევრია და უკვე 30 წელია მასთან ერთად ათასამდე კონცერტი აქვს ჩატარებული საქართველოსა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში...

მისი შემოქმედებითი ცხოვრება ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთ ურთულეს – მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე რომ სწავლობდა...

ხელოვნების სიყვარულს იგი მაშინაც არ დაუტოვებია, როდესაც უკვე სპეციალობით მუშაობდა და მნიშვნელოვან სამეცნიერო ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა კვების მრეწველობის დარგში...

1980-იანებიდან საქართველოს ტელევიზიაში, კირილე ვაშაკიძის ხელმძღვანელობით შექმნილ ხალხურ საკრავთა ახალგაზრდულ ორკესტრში იწყებს მოღვაწეობას, შემდეგ კი – ათეულწლების განმავლობაში, ტელევიზიასთან არსებულ უნიკალურ ანსამბლ „კელაპტარში“ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მუსიკალურ ინსტრუმენტებზე შესრულებული შედევრებით ხიბლავდა მსმენელს...

ურთულეს 90-იანებში მოუხდა სამედიცინო უნივერსიტეტში მოსვლა და დამკვიდრება, ჯერ როგორც სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლში, მოქმედ ინსტრუმენტალისტსა და ვოკალისტს; მოგვიანებით კი ხალხურ საკრავთა გუნდის ხელმძღვანელი ხდება. ამ დროისთვის მას უკვე ჰქონდა სათანადო მუსიკალური განათლება მიღებული. 2011 წელს, მისი ინიციატივით, გოგონათა სიმღერის ანსამბლი – „დეკა“ შეიქმნა და, ვინ იცის, რამდენ ახალგაზრდას შემოქმედებითი ნიჭი გაუღვივა და მუსიკალური გემოვნება ჩამოუყალიბა.

სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთა შემოქმედებას ქართული აუდიტორია კარგად იცნობს. რაოდენ საამაყოა, რომ ხელოვან ექიმთა შორის ბევრია ბატონი დავითის აღზრდილი, პროფესიულ საქმიანობის აღსრულებასთან ერთად, ღირსეული დამფასებლები და შემსრულებლები რომ არიან ეროვნული ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებისა...

მომღერალ ვაჟთა გუნდი 2022 წლის „ნიჭიერის“ ფინალისტი იყო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფოლკლორული ანსამბლების მნიშვნელოვან საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს მათი ღირსეული წარდგენა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაყურებლის წინაშე: იტალიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ჩეხეთში, საბერძნეთში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.

დიდია პედაგოგის წვლილი იმაშიც, რომ ჩვენი უნივერსიტეტის სახალხო, დამსახურებულ ანსამბლს არაერთხელ ერგო პატივი ევროპის სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალის საზეიმო

## ლოტბარი

დახურვისა. აღსანიშნავია ისიც, რომ ანსამბლის მომღერალ ვაჟთა გუნდმა, ულამაზესი საგალობლები შეასრულეს ქ. ბარიში (იტალია), წმინდა ნიკოლოზის საფლავთან...

აღსანიშნავია, რომ ანსამბლის ხალხურ საკრავთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ბატონი გელა ტაბაშიძე.

ბიჭებს გოგონათა გუნდიც არ უდებს ტოლს – დღეს უკვე მესამე თაობის „დეკას“ გოგონები თავიანთი ტკბილხმოვანი ქართული საშემსრულებლო ხელოვნებით, ატკბობენ მსმენელს. ნათია ჩომახიძეს, ანანო სიყმაშვილს, ლიზი ქოჩიაშვილს, ბარბარე კონჯარიას, ანა შენგელიას, ლელა ჯიქურს, თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ქართული მუსიკალური ფოლკლორის ტრადიციების გამგრძელებლები.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ თსსუ-ის სიმღერისა და ცეკვის სახალხო, დამსახურებული ანსამბლი, როგორც მომღერალთა გუნდი, ასევე, მოცეკვავეები, გასული – 2022 და 2023 წლებში გამართული „სტუდენტური დღეების“ გამარჯვებულები არიან საქართველოს 34 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელთა შორის...

...ბატონ დავითთან შეხვედრისას თაობათა ცვლის მტკივნეულ საკითხზეც მოგვიხდა საუბარი – დრო გადის, თაობები მიდიან – იღებენ განათლებას, ამთავრებენ სამედიცინო უნივერსიტეტს, სცენაზე კი ახლა სხვა სახეებია – მომავალი ექიმები და ფარმაცევტები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტები, რეაბილიტოლოგები და ექთნები, რომლებიც გამგრძელებლები არიან იმ დიდი საქმისა, 40 წლის წინათ ბატონო ბადრი მაჭავარიანის ინიციატივით რომ ჩაეყარა საფუძველი.. და ეს ყველაფერი საქმის სიყვარულითაა ნაკარნახევი და არცთუ იოლ ყოველდღიურობასთან დაუღლელი ჭიდილის შედეგია..

ბატონი დავითი აღნიშნავს იმ დიდი ხელშეწყობის შესახებაც, კულტურის ცენტრის დირექტორი, ბატონი ბადრი მაჭავარიანი, სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და სტუდენტური თვითმმართველობა უკვე ათეულწლეული რომ უწევს ახალგაზრდა შემოქმედებს. ხომ ფაქტია, რომ თითოეულ კონცერტზე, თსსუ-ელები, მაღალ საშემსრულებლო ხელოვნებასთან ერთად, საუკეთესო სასცენო კოსტიუმებითაც გვხიბლავენ და თვალს გვჭრიან...

ისიც უდავოა, რომ დაფინანსების ყველა საკითხი, გნებავთ, ადგილობრივად, ისე უცხოეთში გასტროლების ორგანიზების საქმეში, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით წყდება. ასეა მსოფლიოს სხვადასხვა სახელოვან უმაღლეს სასწავლებელში და ასეა ჩვენთანაც. ამიტომაცაა, რომ თსსუ-ის მომღერლები და მოცეკვავეები, საუკეთესო წარმომადგენლები არიან თავიანთი Alma-Mater-ისა, მაღალი ავტორიტეტით სარგებლობენ სახელოვნებო წრეებში შინ თუ გარეთ, თავიანთ მაღალპროფესიონალ პედაგოგებთან ერთად...

...თვალი კედლებსა და თაროებზე განთავსებული პრიზების, მედლების, სიგელების, ჯილდოების და წინა თაობების ხელოვან მედიკოს სტუდენტთა სურათებისკენ გარბის და კიდევ ერთხელ გვაფიქრებს თსსუ-ის კულტურის ცენტრის კოლექტივის, პედაგოგების და სტუდენტების დიდ დამსახურებაზე ქართული ხელოვნების და კულტურის წინაშე...

...ტრადიციები გრძელდება, ბევრი რამ კეთდება, რომ მომავალში კიდევ უფრო დიდ სრულყოფილებას მიაღწიოს ანსამბლმა. რადგანაც აქ ამ მიზნის მისაღწევად საქმეზე შეყვარებული ხალხი შრომობს, რომელთა შორის ლოტბარის, ბატონი დავით რატიანის, უდავოდ, დიდი წვლილიცაა...

**დარეჯან კომლაძე**

**„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია** ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64
რედაქტორი **ლელა მუკბანიანი**
კორესპონდენტები: **მანანა ფხალაძე** ტ.:555 29 98 27 **დარეჯან კომლაძე** ტ.:558 17 08 47 **ნატო ბოლქვაძე** ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu